საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჯორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 აპრილი, 2013 წელი.

№76 (7203)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა ევროსაბჭოს სტანდარტების შესატყვისი უნდა იყოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა და კითხვებზე პასუხი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2013 წლის 23 აპრილს

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ოთხი საბჭდისწერო წელიწადი

8

სამუშაო ადგილები, სოლარიბე, ინფლაცია ახალი მთავრობის „აქილევსის ქუსლად“ რჩება

5

ნეპოტიზმი და ვერშემდგარი კოჰაბიტაცია მუნიციპალიტეტებში

5

⑥ პატიოსან მეწარმეებსაც აზარალებენ და ბიუჯეტსაც!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბიძინა ივანიშვილი: ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა ევროსაბჭოს სტანდარტების შესატყვისი უნდა იყოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა და კითხვებზე პასუხი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2013 წლის 23 აპრილს

ჩემი ქვეყნისთვის თქვენს რიგებში ყოფნა ძალიან საამაყოა, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, ევროსაბჭოს ტრიბუნას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყანამ მძიმე წარსული გამოიარა.

„ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზას თქვენ საუკუნეებია ადგახართ, ჩვენ კი, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნები, სულ ახლახან შემოგიერთდით. ჩვენ მძიმე წარსული მოგვყვება და სწორედ ამიტომ აქვს ამ წარმატებულ ინსტიტუტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლა ვდგამთ ნაბიჯებს ერთიან ევროპაში სრულყოფილი ინტეგრირების გზაზე. თქვენ ბრძანდებით მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შეეხსნა ხორცი ევროპულ ოცნებას მშვიდობიან თანამშრომლობაზე. თქვენ ამ ხედვის მარტო ავტორები კი არ ხართ, არამედ ძალ-ღონეს არ იშურებთ იმისათვის, რომ რეალურად დანერგოთ ეს ხედვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის ათასობით პროექტი, შეხვედრა და კონსულტაციები, რომლებსაც თქვენ ყოველწლიურად ახორციელებთ. ჯერ კიდევ 1945 წელს ევროპა სულ რამდენიმე დემოკრატიულ სახელმწიფოს ითვლიდა. დღეს კი 47 ქვეყანა 800 მილიონიანი მოსახლეობით, ერთიანდება ევროსაბჭოში - მსოფლიოს ამ უდიდეს ორგანიზაციაში, რომელიც დემოკრატიის სამსახურში დგას. ამას თქვენ ათწლეულობით გაწეული შრომის შედეგად მიაღწიეთ. 1949 წელს შეიქმნა ევროპის საბჭო. მაშინ ომისგან დაქანცული და გაპარტახებული ევროპა, ახლა ყველაზე აყვავებული რეგიონია მსოფლიოში. 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს რიგით 41-ე წევრი სახელმწიფო გახდა. ჩემი ქვეყნისთვის თქვენს რიგებში ყოფნა ძალიან საამაყოა. ჩვენ გვიან შევუერთდით ევროპის თავისუფლებისმოყვარე თანამოაზრეთა ჯგუფს და კარგად ვიცით, რომ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი“.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ახალი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, რაც ქვეყნის ისტორიაში ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემის პრეცედენტი გახდა.

„სწორედ ამის გამო ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე გამოსვლისას. კარგად ვიცი, რომ დემოკრატიული მართვის გამოცდილება გვაკლია. როდესაც შინ, ჩვენს ოპონენტებთან ვკამათობთ, მაშინ ყველაზე კარგად ჩანს, რამდენად გვაკლია პოლიტიკური დებატების გამოცდილება, რამდენად რთულია, შეწყვიტო კამათი და ენდო მეორე მხარის კეთილ ნებას. თქვენთვის, ბუნებრივია, ძნელია ამის გაგება“.

მისივე თქმით, იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას, თავისი ახსნა აქვს.

„ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ ძნელი გზა გამოიარა თავისი ისტორიის განმავლობაში. ჩვენ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. ბალიზებული მსოფლიოს უამრავი გამოწვევა და პრობლემა ჩვენც გვესება და სწორედ ამიტომ გვჭირდება თქვენი დახმარება, ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც მეგზურობას გაგვიწევენ ამ გარდამავალ პერიოდში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას , – თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს ახალი მთავრობა განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგას, რაც რუსეთთან დიალოგის წარმართვას გულისხმობს.

„ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ გასული საუკუნე დამანგრეველი იყო პატარა ქვეყნებისთვის, რადგან ისინი საკუთარი ნების წინააღმდეგ მუდმივად საომარ მოქმედებებსა და კონფლიქტებში იყვნენ ჩაბმული. ევროპა ერთ დროს ბრძოლის ველად იყო ქცეული. 2012 წელს ევროპის კავშირისათვის ნობელის პრემიის მინიჭება არის აღიარება იმისა, რომ ევროპას ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები აქვს მშვიდობის აღმშენებლობის კუთხით. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ომის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს, რადგან მცირე ქვეყნების წინააღმდეგ კვლავაც ხორციელდება აგრესია. ამის ნათელი მაგალითია ჩემი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი 2008 წელს რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. სამწუხაროდ, კიდევ არსებობს კონფლიქტების საშიშროება ჩვენს რეგიონში. უნდა აღვნიშნო, რომ კავკასია ჯერ კიდევ არ არის მშვიდობის ზონა. ჩვენ განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა წარვმართოთ დიალოგი რუსეთთან, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელი სახელმწიფოა. ახალი პრაგმატული მიდგომით დავიწყეთ ორმხრივი დიალოგი რუსეთთან, რუსულ ბაზარზე ვაბრუნებთ ქართულ პროდუქციას. რუსეთის მიმართ ჩვენი პოზიცია იქნება კორექტული, მაგრამ პრინციპული“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, რუსეთთან ურთიერთობაში მისი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა იმის დემონსტრირებაა, რომ საქართველოს მთავრობა ახალი ურთიერთობისთვის მზად არის.

ამავდროულად, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ორივე მხარეს აქვს წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთასაც არ აპირებენ.

„2010 წელს საქართველომ ცალმხრივად აიღო კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რაც 2013 წლის 7 მარტს გაამყარა საპარლამენტო რეზოლუციით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, სადაც ქართველი და რუსი დიპლომატები ოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით. ამ რთულ პროცესში, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ ევროპელი პარტნიორების, მაქსიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა. თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, მთავრობა საქართველოს შესაძლებლობებს რეალისტურად უყურებს.

„ვაღიარებთ, რომ საქართველო არის მცირე რეგიონალური ძალა ერთობ არასტაბილურ გარემოში. შეუძლებელია მდგრადი მომავლის აშენება სამხედრო ძალის დემონსტრირებით. მეორე მხრივ, შეუძლებელია რეგიონში მშვიდობის დამყარებაში წარმატების მიღწევა, თუ საქართველოსაგან მოელიან კანონიერი ინტერესების, განსაკუთრებით, ტერიტორიული მთლიანობისა და მოქალაქეების შინ დაბრუნების უფლების უგულებელყოფას. ამ ურთიერთობის მოწესრიგება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კავკასიისთვის ნაყოფიერი იქნება. განზრახული გვაქვს სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუმენტების გამოყენება ჩვენს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას დემოკრატიაზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საქართველოს უსაფრთხოება, ერთიანობა და კეთილდღეობა დიდწილად, სწორედ ჩვენი დემოკრატიის ხარისხზეა დამოკიდებული“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვენეციის კომისიას სასამართლოს რეფორმირების პროცესში დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩემი მოწვევით ევროკავშირმა საქართველოში მოავლინა ევროსაბჭოს ყოფილი უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგი, როგორც სპეციალური მრჩეველი სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა მიმართულებით. ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლები განახორციელებენ წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პროცესების შესაბამისობა საერთაშორისო ნორმებთან“, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველოს ჰყავს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მუშაობის გამოცდილება აქვს.

„ჩვენ ევროპის საბჭოს არაერთ უწყებასთან ვთანამშრომლობთ. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ვენეციის კომისიის ლიდერთა მიმართ, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელების საქმეში. ჩვენთვის ასევე სამაგალითოა საპარლამენტო ასამბლეაში მიმდინარე დებატები. ვთანამშრომლობთ ევროპის საბჭოს მრავალ საგენტოსა და კომიტეტთან, რათა ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისი იყოს. ვმუშაობთ კონკრეტულ საკითხებზე უმცირესობათა უფლებების მიმართულებით, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ურთიერთობა ევროპის საბჭოსთან ახალ საფეხურზე ავიდეს. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ ამ თანამშრომლობის გაგრძელებისთვის, თუმცა, საქართველოს მომავალი განვითარების ჩვენი ხედვა, ჩვენი ოცნება, მარტო ამით არ შემოიფარგლება. მე კარგად გავეცანი დღევანდელი ევროპის მშენებლობის ისტორიას და მივხვდი, რომ ერთიანი ევროპის მშენებლობა, პირველ რიგში, ეს არის პროექტი მშვიდობისთვის“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მის მიერ „ევროპის სახალხო პარტიის“ ცალკეულ წევრებთან დაკავშირებით გაკეთებული კრიტიკული განცხადების გამო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განმარტების გაკეთება მოუწია.

შესაბამისი საკითხით მისგან საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთი დეპუტატი დაინტერესდა და დააფიქსირა, რომ საქართველოში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით „ევროპის სახალხო პარტიის“ 23 წევრის კრიტიკულ წერილს თავადაც ეთანხმება.

„თუ ვიტყვი, რომ მეც ვეთანხმები მათ კრიტიკას, რას მიპასუხებთ“? – მიმართა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთმა დეპუტატმა ბიძინა ივანიშვილს, რაზეც პრემიერმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ რიგი წარმომადგენლის მიერ გაკეთებული ზოგიერთი გამოთქმა ხშირად **„ცალმხრივ ინფორმაციას ეფუძნება“.**

„მიმაჩნია, რომ „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლების ან სხვა ევროპული სტრუქტურის თანამშომლების ზოგიერთი გამოთქმა ხშირად ეფუძნებოდა ცალმხრივ ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებდნენ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. დიდ პატივისცემას გამოვხატავ ყველაზე დიდი პარტიის და ლიდერების მიმართ და ვფიქრობ, რომ მომავალში გაუგებრობები, რომლებიც არსებობდა ცალმხრივი ინფორმაციების გამო აღარ იარსებებს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ვითანამშრომლებთ“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, ასამბლეის წევრი დეპუტატები პრემიერისგან იმ საკითხითაც დაინტერესდნენ, როგორ აპირებს საქართველოს ახალი ხელისუფლება წინა მთავრობასთან „შიდა შერიგებას“, ასევე რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას.

„რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ პროცესებს, გარწმუნებთ, საქართველოში მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს და არ იქნება შერჩევითი სამართალი. საზოგადოებაში დიდი აგრესიაა და სამართალი აუცილებლად უნდა აღდგეს, თუმცა ის არ უნდა იყოს მასობრივი. თქვენ შეგიძლიათ მოავლინოთ თქვენი დამკვირვებლები. გარწმუნებთ, რომ ეს პროცესები არ დაემსგავსება პოლიტიკურ დევნას და იქნება გამჭვირვალე. რაც შეეხება რუსეთს – ჩემი დიდი ოცნებაა, რომ მოვახერხოთ და დიდ მეზობელთან ურთიერთობები დავალაგოთ. არ მაქვს ილუზია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება იოლი, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ, დიპლომატიური და მშვიდობიანი გამონათქვამებით აუცილებლად დავალაგებთ ურთიერთობებს დიდ მეზობელთან“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის მეექვსე თვისთვის მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, კოალიციის პროგრამა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან დაკავშირებით აქტიურად ხორციელდება, ხოლო ეკონომიკა მყარ საფუძვლებს უბრუნდება.

„უკანასკნელი გამოკითხვები ცხადყოფს ამომრჩეველთა მზარდ მხარდაჭერას ხელისუფლებისადმი, ჩვენ სტაბილურად მივიწევთ წინ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ასევე შეიმჩნევა მცირე წინგადადგმული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობებში. ალბათ, ყველაზე იმედის მომცემი გახლავთ ის, რომ რთული დასაწყისის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ ევროკავშირისაგან მიღებული გაკვეთილების ცხოვრებაში გატარებას ყოფილ მოწინააღმდეგეებთან კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველომ უკვე გადალახა ყველაზე კრიტიკული მომენტი. ჩვენი გამარჯვება ოქტომბრის არჩევნებში არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ მდგრადი დემოკრატიისაკენ. ამ მიზნის მიღწევას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, დაგვეხმარება მშვიდობის დამყარებაში, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპული იდეალის ამ არსებითი საფუძვლის უზრუნველყოფაში“, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წინ – მომავლისკენ!

საქართველოს დასავლური ორიენტაცია – ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია არის ჩვენი სტრატეგიული არჩევანი და ამას ალტერნატივა არ აქვს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ეს არჩევანი არ ეკუთვნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს, რადგან ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხნის წინ გააკეთა.

„საქართველოს გადაწყვეტილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მოთხოვნასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ასახავს დასავლური ღირებულებებისადმი ჩვენი ხალხის ერთგულებას, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ცოტა ხნის წინ პარლამენტის მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

კოჰაბიტაციის და სამართლიანობის აღდგენა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, – თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, კოჰაბიტაცია ქართველებისთვის ახალი სიტყვაა, „მაგრამ შევეგუეთ“ და ძალიან ჩვეულებრივი პროცესი გახდა.

„ჩვენ ვახერხებთ თანაარსებობას ყოფილ ხელისუფლებასთან. ორივე მხარემ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც კინკლაობისა და ჩხუბის მაგივრად უნდა მოვახერხოთ ერთად დგომა, რადგან ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და არ გვაქვს ერთმანეთში საქმის გარჩევის დრო და მაქსიმალურად საერთო ძალისხმევით უნდა მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის სწორი გზით წაყვანა“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმას ვეტო დაადოს, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ევროპარლამენტში ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეს, თუ რატომ არ იზიარებს საქართველოს მთავრობა ვენეციის კომისიის დასკვნას. ბიძინა ივანიშვილის თქმით კი, ქართული ოპოზიცია ახერხებს, რომ სიცრუე გაავრცელოს ევროპაშიც.

„ვფიქრობ, რომ თქვენ გაქვთ ცალმხრივი ინფორმაცია და ოპოზიცია ახერხებს, რომ სიცრუე გაავრცელოს ევროპაშიც. საქმე აბსოლუტურად პირიქითაა, ჩვენ მაქსიმალურად, თითქმის 100%-ით, გავითვალისწინეთ ვენეციის კომისიის დასკვნა. შეიძლება იქ მძიმე და წერტილი არის გადაადგილებული, ჩვენ მთლიანად გავითვალისწინეთ და მომავალშიც გავითვალისწინებთ რეკომენდაციებს. ჩვენ ვითვალისწინებთ ვენეციის კომისიის დასკვნას, ვითვალისწინებთ სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებს. თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც თანახმაა ამ ტიპის რეფორმის გატარების. უკვე არსებობს ბატონი ჰამერბერგის შეფასებაც, რომელიც ადასტურებს, რომ რეფორმა არის წინ გადადგმული ნაბიჯი და არის ძალიან კარგი“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ერთადერთი კაცი, ვინც ამ რეფორმას არ ეთანხმება, არის სააკაშვილი, რომელიც ცდილობს მას ვეტო დაადოს.

* * *

ახალი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, რუსეთთან მხოლოდ მშვიდობიანი რიტორიკით მოაგვაროს ურთიერთობა და დაარწმუნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული დამოკიდებულება მისთვის არ არის სასარგებლო, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ჩვენ შევეცდებით მშვიდობიანი რიტორიკით, მშვიდობიანი გზებით მოვახერხოთ და დავამყაროთ ურთიერთობა ჩვენს ძმებთან - ოსებთან და აფხაზებთან. მათთან მხოლოდ ძმობით, მეგობრობითა და მშვიდობიანი გზებით ვაპირებთ ურთიერთობების აღდგენას და ტერიტორიების გაერთიანებას. ახალი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, რომ რუსეთთანაც მხოლოდ მშვიდობიანი რიტორიკით მოაგვაროს ურთიერთობა. დავარწმუნოთ, რომ ამ ტერიტორიებთან დაკავშირებული დამოკიდებულება არც რუსეთისთვის არის სასარგებლო, რადგან ჩემი ანალიზით, ეს დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ორივე მხარე და პირველ რიგში რუსეთი გააცნობიერებს, რომ ეს სასარგებლო არ არის მისთვისაც“.

* * *

კოჰაბიტაციაზე ერთ მაგალითს მოგიყვანთ – დღემდე არც ერთი ახალი ელჩი არ არის დამტკიცებული, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

აღნიშნული მაგალითით ივანიშვილმა ხაზი საქართველოს მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებას შორის კოჰაბიტაციის კუთხით არსებულ პრობლემებს გაუსვა.

„რთულია 6 თვის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთოს, მაგრამ ვისაც ინტერესი აქვს, მას შეუძლია დაინახოს ჩვენს მიერ უკვე მიღწეული გარკვეული პროგრესი. რაც შეეხება კოჰაბიტაციას, მისი პრობლემა არ არსებობს ხელისუფლების მხრიდან. პრობლემა უკავშირდება ძველ ხელისუფლებას. კოჰაბიტაციაზე კარგ მაგალითს მოგიყვათ – დღემდე არც ერთი ელჩი არაა დამტკიცებული, აი, ასეთ კოჰაბიტაციას ახერხებს პრეზიდენტი. პრობლემებია სასამართლოსთან დაკავშირებითაც, ერთი კაცი ბლოკავს ყველაფერს იმისთვის, რომ სასამართლო არ გახდეს დამოუკიდებელი და სამართლიანი“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი დეპუტატები დაინტერესდნენ იმითაც, რა პოზიცია აქვს ბიძინა ივანიშვილს მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებების დარღვევის გახმაურებულ ფაქტებზე, მათ შორის ტიმოშენკოს და მაგნიტსკის საქმეებთან მიმართებაში. პრემიერის თქმით, ადამიანის უფლებებს საქართველოშიც ტოტალურად არღვევდნენ, რის გამოც ქვეყანას სხვა სახელმწიფოების ამ კუთხით გაკრიტიკების უფლება არ აქვს.

„მე ვიცნობ მაგნიტსკის პრობლემას, ვიცნობ, რაც ხდება უკრაინაში, მაგრამ უფრო კარგად ვიცი, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში – ადამიანის უფლებები ტოტალურად ირღვეოდა. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, ამ მხრივ საქართველოში კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა, ამიტომ შევეცდები, სხვა სახელმწიფოებს არ შევეხო – ჩვენ არ გვაქვს უფლება, სხვა სახელმწიფოები ვაკრიტიკოთ, რადგან ჩვენს ქვეყანაში იყო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სერიოზული პრობლემა, თუმცა, გარწმუნებთ, ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდება სამართლიანობის შეძლებისდაგვარად აღდგენა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველო ძალიან სწრაფად დაემსგავსოს ძველ და ბებერ ევროპას. ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით, რომ საქართველოს მიმართ ეს შეკითხვები აღარ დაისვას – ევროპა ჩემთვის პირველ რიგში, ესაა სწორედ ადამიანის უფლებები“, – აღნიშნა პრემიერმა.

გარდა ამისა, ასამბლეის წევრებმა ბიძინა ივანიშვილს შეკითხვა დაუსვეს ე.წ.თურქი მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით და დაინტერესდნენ, რა ვადებში იქნება აღნიშნული შესაძლებელი, რის საპასუხოდაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მაქსიმუმ ორი წლის ვადაში მოხდება მსურველი ე.წ.თურქი-მესხებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

„ახალმა ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით მიიღო ახალი დადგენილება და პროცესების მაქსიმალურად დაჩქარებას ვაპირებთ. რაც შეეხება რიცხვს, ასეთი 700-ზე მეტია და ყველას ექნება საშუალება, უახლოეს 2 წელიწადში დაჩქარებული წესებით მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა“, – დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

8 თებერვლის მოვლენების დროს სამართალდამცველებს ადეკვატური რეაქცია ჰქონდათ, განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე და აღნიშნა, რომ დამნაშავეები დაისაჯნენ.

ამასთან, ერთ-ერთი ევროპარლამენტარი დაინტერესდა ამ მოვლენების დროს საპარლამენტო უმცირესობის წევრ ჩიორა თაქთაქიშვილთან დაკავშირებით მომხდარი ფაქტით. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სამწუხარო ფაქტი მოხდა.

„სამწუხაროა, რომ ეს ასე მოხდა, მაგრამ იქ მრავალმხრივი კითხვები არსებობს. ეს არ არის პირდაპირი მნიშვნელობით ქალებზე ძალადობის შემთხვევა. იქ იყო ძალიან კარგად ჩაფიქრებული პოლიტიკური აქტი და ეს კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. მე წუხილს გამოვთქვამ, რომ ეს მოხდა და განვითარდა მსგავსი ძალადობა“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე განმარტება გააკეთა.

კითხვა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით დეპუტატმა კალაშნიკოვმა დასვა, რომელმაც სესიაზე განაცხადა, რომ აღნიშნული კანონის ძალით, ადამიანები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე საქართველოს ტერიტორიიდან არ შედიან, შეიძლება ერთი ან მეტი წლით ციხეში აღმოჩნდნენ.

„ვინც ასეთ ვოიაჟით პირველად ჩადის, კანონი პატარა ჯარიმით შემოიფარგლება და მხოლოდ განმეორებით შემთხვევაზე დადგება კანონის წინაშე პირის პასუხიმგებლობის საკითხი. ეს გაადვილებს და დააჩქარებს ურთიერთობების დალაგებას როგორც ჩვენს ძმებთან, ასევე ჩვენს დიდ მეზობელთან“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

* * *

აფხაზეთის გავლით რკინიგზა აუცილებლად გაიხსნება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე განაცხადა. თუმცა, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, დაჩქარებულად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ იქნება იოლი.

„პერსპექტივაში ეს რკინიგზა აუცილებლად გაიხსნება. დღეს და დაჩქარებულად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ იქნება იოლი, რადგან ბევრი კითხვები და ინტერესები არსებობს. ეს უკავშირდება კონფლიქტებს, ეს უკავშირდება ჩვენს დამოკიდებულებას და ურთიერთობებს რუსეთთან, ჩვენს ძმებ აფხაზებთანაც. ეს უნდა მოხდეს აუცილებლად და ეს მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვით, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის უფლებების დაცვით. ეს არ არის მარტივი პროცესი, ამას სჭირდება განვითარება, სჭირდება დალაგება, რადგან ეს ძალიან გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ნებისმიერი უმცირესობა საზოგადოების ჩვეულებრივი წევრია, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, როდესაც ევროსაბჭოს დეპუტატის კითხვას უპასუხა, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, როგორ აფასებდა ბიძინა ივანიშვილი რელიგიურ თუ სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებულ ზეწოლას.

„მე მინდა დავარწმუნო ყველა მსმენელი, რომ საქართველოში, თუკი ამ მიმართულებით რაიმე მოხდება, მკვეთრი რეაქცია იქნება ხელისუფლების და სამართლადამცავი ორგანოების მხრიდან. ეთნიკური უმცირესობების პრობლემა ტოტალურად საქართველოში არ არსებობს, არსებობს მცირე გამოვლინებები, რომელზეც ხდება ადეკვატური რეაქცია“, – განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, კოსოვოსა და აფხაზეთი-ცხინვალის შემთხვევები განსხვავებულია. აღნიშნულ საკითხზე ივანიშვილმა

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განცხადება რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლის, ალექსეი პუშკოვის შეკითხვაზე საპასუხოდ გააკეთა, რომელიც დაინტერესდა, უნდა იყოს თუ არა წარმოდგენილი საპარლამენტო ასამბლეაზე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, თუნდაც იქედან გამომიდნარე, რომ კოსოვოს ამის შესაძლებლობა აქვს.

„სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც საქართველოს ნაწილებია და მათ ჩვენს დელეგაციასთან ერთად, რა თქმა უნდა, ექნებათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა ევროსაბჭოს მუშაობაში. რაც შეეხება კოსოვოს მაგალითს, კარგად მოგეხსენებათ, რომ კოსოვო არა თუ ზღუდავდა, თვითონ იწვევდა საერთაშორისო დამკვირვებლებს, ყოველთვის გახსნილი იყო ყოველგვარი თანამშრომლობისთვის, რაც, საუბედუროდ, არ ხერხდება დღეს და ელემენტარულ მონიტორინგს ვერ ვახორციელებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამ მხრივ, ისინი დახურულები არიან, შესაბამისად, ასეთ პერსპექტივას მე პირადად ვერ ვხედავ“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილი.

ამასთან, საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები დაინტერესდნენ, თუ რა გეგმები აქვს საქართველოს მთავრობას ეროვნული უმცირესობების პრობლემების მოგვარების კუთხით.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ უმცირესობებმა თავი საქართველოს „ჩვეულებრივ მოქალაქეებად“ იგრძნონ.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ტელეკომპანია „იმედის“ შესახებაც ისაუბრა. ტელეკომპანიის ირგვლივ 2007 წელს განვითარებული მოვლენებისა და არხის მფლობელებისთვის დაბრუნების შესახებ კითხვა ბიძინა ივანიშვილს ქართული დელეგაციის წევრმა, დეპუტატმა თინათინ ხიდაშელმა დაუსვა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, ყველას კარგად ახსოვს „დემონსტრაციის დარბევა 2007 წელს“.

„გახსოვთ, როგორ შევიდნენ „იმედში „ ჯარით. იმის შემდეგ ეს ტელეკომპანია წლების განმავლობაში რჩებოდა სააკაშვილის და მისი გუნდის სამსახურში. ტელეკომპანია ჩვენი მოსვლიდან ორ თვეში დაუბრუნდა რეალურ მესაკუთრეს. მედია გათავისუფლდა დიქტატისგან და რეალურ მფლობელს დაუბრუნდა. ევროსაბჭოდან კი, მადლობის მიუხედავად, მივიღეთ დადგენილება, რომელშიც ცდომილება იყო. ეს ოპოზიციის ოსტატური სიცრუის შედეგია. კარგი იქნება, გადამოწმდეს ინფორმაცია, როცა ასეთ მძიმე საკითხებზე გამოაქვთ დადგენილება“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.

„საზოგადოება წლების განმავლობაში იყო მომსწრე იმისა, რომ ერთი პოლიტიკური ძალა დომინირებდა ხელისუფლების ყველა დონეზე და ხალხს დღემდე უჭირს იმ ახალი რეალობის აღქმა, როდესაც სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალა არის გადაწყვეტილების მიმღები. სწორედ ამ დამკვიდრებული პრაქტიკის გამო ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური ძალის ცვლილებამ ადგილობრივ მოსახლეობაში გააჩინა განცდა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებშიც გარდაუვალია პოლიტიკური ძალების შეცვლა. ამასთან, საქართველოში დამკვიდრდა სამწუხარო ტრადიცია იმისა, რომ ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკურ კუთვნილებას იცვლიან იმის მიხედვით, თუ ვინ არის მმართველი პოლიტიკური ძალა. სამწუხაროდ, ამ მოვლენებმა მალევე მიიღო ქაოსური ხასიათი და ზოგ შემთხვევაში კანონის ჩარჩოებსაც გასცდა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობა ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპების და, მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის ერთგულია.

„ამავე დროს, ჩვენი, როგორც მმართველი პოლიტიკური გუნდის, მოვალეობაა სათანადო რეაგირება მოვახდინოთ კანონდარღვევის ფაქტებზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობა და სამართალდამცავი ორგანოები კანონით გათვალისწინებულ რეაგირებას მოახდენენ იძულების, ზეწოლის ან დაშინების ნებისმიერ ფაქტზე, თუ ასეთი რამ მოხდება“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დღეს – ასე, ხვალ – ისე!

რა იცი, რა ხდება: „ქამელეონები“

„ნაციონალური მოძრაობის“ 19 აპრილის მიტინგსა თუ ძალის ჯერ კიდევ შენარჩუნების პიარ-ღონისძიებას ბევრი საეჭვო წარსულის მქონე პიროვნებაც ესწრებოდა. იქ ისეთებიც იყვნენ, ჯერ მიშას მზეს რომ ლოცულობდნენ და მერე – ბიძინასას. იყვნენ ისეთებიც, „ქართული ოცნების“ რეგიონულ ორგანიზაციებში „გაწეული ღვაწლის“ საფასურად თანამდებობებზე დანიშვნებს რომ ითხოვდნენ და ამისათვის გაფიცვებსაც აწყობდნენ.

19 აპრილის მიტინგამდე, ორიოდე დღით ადრე, ტელევიზიით გამოვიდა რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსი ხათუნა მიშველაძე. იგი აღნიშნავდა, რომ თვითმმართველობა ხალხს აძალებდა 19 აპრილის აქციაზე წასვლას, გვარს პიროვნებისა, რომელმაც იგი აქციაზე წასვლის აუცილებლობის შესახებ გაფრთხილა, არ ასახელებდა, სამაგიეროდ, დარწმუნებული იყო, რომ ამბის მიმტანი მას მერისა და აპარატის უფროსის დავალებით ელაპარაკებოდა.

მიშველაძე იმასაც ამბობდა, რომ თვითმმართველობის ყველა სამსახურში ანალოგიური ვითარებაა. მისივე განმარტებით, ზოგს ყოფნის ამგვარი განცხადების გაკეთების გამბედაობა, ზოგს – არა.

ის, რომ რუსთავში ასეთი ამბები ხდებოდა, არც არის გასაკვირი. ქალაქის მერი მინდელი ხომ თავგადაკლული „ნაცია“, ხოლო ქვემო ქართლის გუბერნატორი ცნობილი დავით კირკიტაძეა.

მიშველაძის სატელეფონო გამოსვლიდან მეორე დღესვე ქვემოქართლელ ჟურნალისტებს დაუკავშირდა ქ-ნი ხათუნას ყოფილი თანამშრომელი ანგი ძინძიბაძე, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, სამსახურიდან იგი სწორედ მიშველაძემ გაანთავისუფლა „პოლიტიკური მოტივით“ – ოპოზიციონერ მეგობართან ქეიფის გამო.

როგორც აწ უკვე რუსთავის მერიის ყოფილი თანამშრომელი აცხადებს, უფროსმა იგი ქეიფიდან მეორე დღესვე თავისთან დაიბარა და პირდაპირ განუცხადა, რომ გატარებული წინა საღამოს გამო, სამსახურიდან უნდა წასულიყო. თან გადაუკრავს – შენ ხომ საჩხერელი ხარო.

ამ განცხადების შემდეგ, ჟურნალისტები მერიის სამსახურის უფროსს ხათუნა მიშველაძეს დაუკავშირდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ძინძიბაძე მას არ მოუხსნია. განცხადება წასვლის თაობაზე მან მერთან საუბრის შემდეგ დატოვა. თურმე უფროსი არც კი დაინტერესებულა ქვეშევრდომის მოულოდნელად დაწერილი განცხადების მიზეზებით.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს მიშველაძე უცებ აბობოქრებულა. – წესიერად იყოს, თორემ მისი ცუდი მუშაობის არაერთი ოქმი არსებობსო.

19 აპრილის აქციაზე და შემდეგაც, „ნაცები“ თავგადაკლული გაჰკივიან, რომ მიტინგზე მისული 12-15 ათასი ადამიანი, იმის დასტურია, რომ ყოფილი სახელისუფლებო პარტია ცოცხალია, რეალური ოპოზიციური ძალაა.

მიშა, გოკა, ვანო და მისთანნო, თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ეს მიყვანილი ხალხი, ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ. ისევე, როგორც შემთხვევით, ცნობისმოყვარეობისათვის გაჩერებული თბილისელები. მათ რაოდენობას აშკარად სჭარბობდნენ ყოფილები – ქამელეონები, დევიზით – რა იცი, რა ხდება.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

ქართველებს მუჭა-მუჭა გაპქონდათ, ამათ ტრაილერებით გააქვთ

ქართული მიწა ტრაილერებითა და ტანკერებით საქართველოდან უკვე გადის,– ამის შესახებ განცხადება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლება ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით მორატორიუმია გამოცხადებული.

– საქმე გვაქვს საზოგადოების შეცდომაში შეყვანასთან, უბრალო ტყუილთან. საუბარი ამ შემთხვევაში არ არის არავითარ მორატორიუმზე, რომელიც აკრძალავდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის კერძო მფლობელობაში ქართული მიწის გადაცემას, ხელისუფლებამ მხოლოდ სახელმწიფო ბალანსზე არსებული მიწების პრივატიზება შეაჩერა, პრობლემა კი ეხება 800 000 ჰექტარ მიწას, რომელიც უკვე კერძო საკუთრებაშია, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

მისივე თქმით, კერძო საკუთრებაში არსებულ ქართულ მიწას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ყიდიან, რომელთაც ძალიან იაფად შეიძინეს აუქციონებზე მიწები და ახლა სამჯერ ძვირად ყიდიან.

გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ ხდება ქართული მიწის მოჭრა და საქართველოდან გატანა.

– ალბათ, ბევრი იტყვის რომ რა პრობლემაა, მიწას ვინმე ზურგით ხომ არ გაიტანს. ზურგით არა, მაგრამ ტრაილერებითა და ტანკერებით უკვე გადის დიდი რაოდენობით ქართული მიწა, იჭრება 40-45 სმ ზედა ფენა ჰუმუსი, რომელიც არის ნაყოფიერი და გადის ქვეყნიდან. ეს არის კატასტროფა, რომლის წინაშეც ძალიან მალე დავდგებით, – განაცხადა ახვლედიანმა.

გუბერნატორობიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ანდრო ბარნოვი დაინიშნა, – ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ანდრო ბარნოვმა დავით ტყეშელაშვილი შეცვალა, რომელიც ადმინისტრაციას 2010-2013 წლებში ხელმძღვანელობდა. იგი პროფესიულ საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის დირექტორის პოზიციაზე განაგრძობს.

საქართველოს პრეზიდენტმა დავით ტყეშელაშვილი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა. ანდრო ბარნოვს ამ დრომდე შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა ეკავა.

ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, ანდრო ბარნოვმა სამუშაო კაბინეტი უკვე დატოვა. გუბერნატორის ადმინისტრაციაში კი, ბარნოვის სავარაუდო შემცვლელის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

მოწმეები დაადასტურებენ, რომ ოქრუაშვილს ბრალი მიუძღვის რობაქიძის მკვლელობაში

ბუტა რობაძიძის მკვლელობის საქმეში ირაკლი ოქრუაშვილის ბრალეულობას რამდენიმე მოწმე ადასტურებს. ამის შესახებ ბუტა რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ „პირველი რადიოს“ პრესკლუბში განაცხადა. მისი თქმით, იმ დროს გადაცემა „პატრულის“ მენეჯერი ქეთი ხოსიტაშვილი ამბობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ჩატარებული სპეცოპერაციის კასეტის ნახვა პირადად მოითხოვა.

– ქეთი ხოსიტაშვილი აცხადებს, რომ დონაძეს პირადად მოსთხოვა ირაკლი ოქრუაშვილმა კასეტის მიტანა. ამის შემდეგ შემოვიდა დონაძე ოთახში, გაუშვა ყველა თანამშრომელი და სამონტაჟოში შევიდა, – განაცხადა სოსო რობაქიძემ.

მისივე განცხადებით, ჩვენება მისცა ასევე საქმის ერთ-ერთმა მოწმემ „რუსთავი 2“-ის მოქმედმა ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა.

სოსო რობაქიძე მიიჩნევს, რომ ახალმა ხელისუფლებამ არჩევიდან ექვსი თვის თავზე აუცილებლად უნდა დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა.

ბუტა რობაქიძის მამის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა, ამ ხელისუფლებიდან ვიღაც მფარველობს. მისივე თქმით, გურამ დონაძის და ირაკლი ფირცხალავას მიერ ნაჩვენები კასეტის ამერიკაში გაგზავნა უაზრობა იყო.

– დონაძე არის მონტაჟის პროფესიონალი. ის და ფირცხალავა შინაგან საქმეთა სამინისტროში შავი მუშები იყვნენ, – აცხადებს სოსო რობაქიძე.

◎ „ჟანრის ბესტსელერი“

ხუბუას რეაბილიტაციის მცდელობა?

მე-9 არხის 21 აპრილის გადაცემაში „გრიფის გარეშე“ ერთი სიუჟეტი დაეთმო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს გიორგი ხუბუას და ჟურნალისტმა, სხვათა შორის, ისიც თქვა – შეიძლება სააკაშვილის მთავრობასთან ხუბუას დაპირისპირება ჟანრის ბესტსელერად იქცესო.

თავისთავად ჩვენ ცუდს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ ხუბუამ ხმა ამოიღოს და ილაპარაკოს იმ დანაშაულობებზე, რომლებიც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ხდებოდა ზოგადად საგანმანათლებლო სფეროში და, კერძოდ, უნივერსიტეტის მიმართ. უფრო მეტიც, ამ საქმეში ხუბუას წახალისებაც კი შეიძლება. რეჟიმის ჩაძირვისას მისი ბუნების ადამიანისაგან ეს მოსალოდნელიცაა, ლოგიკურიც და ობიექტურ გარემოებათა გამო შეიძლება ერთი შეხედვით წარმოუდგენელი შედეგიც კი მივიღოთ – ხუბუასგან სასარგებლო რამე გამოდნეს.

ჩვენს გაოცებას სულ სხვა რამ იწვევს...

იმის ნაცვლად, რომ დღეს უნივერსიტეტის დამაქცევარ ხუბუას სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი იდგეს:

უნივერსიტეტიდან კონკურსის საფუძველზე გაშვებულ ხუბუას უნივერსიტეტის სრულ პროფესორად აბრუნებენ;

უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა ხუბუას ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტს უხსნის და ამ ინსტიტუტის გახსნას მთავრობის წევრებიც, – ბატონები ხადური და ნარმანია, – ესწრებიან;

ხუბუას დაცვას განაგრძობს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი და უნივერსიტეტის პროფესორი, ქ-ნი გუგული მაღრაძე, რომელიც ხუბუას რექტორობიდან გათავისუფლების დროს მას, – ფიგურალურად რომ ვთქვათ, – ლამის საფლავში ჩაჰყვა და სხვ.

ესა და ზოგიერთი სხვა გარემოება გვაიძულებს „გულმავიწყთა“ საყურადღებოდ დავსვათ კითხვა: ვინ არის სინამდვილეში გიორგი ხუბუა?

პირი, რომლის ხელითაც ნაციონალურმა მოძრაობამ და ავადსახსენელმა კახა ლომაიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ქვეყნის უპირველეს სასწავლო-საგანმანათლებლო კერას;

პირი, რომელმაც ერთი ბრძანებით მოსპო უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი, ასობით დამსახურებული თანამშრომელი ქუჩაში გაყარა და ამით ისინი, ფაქტობრივად, შიმშილისათვის გაწირა;

პირი, რომლის სინდისსაც აწევს უნივერსიტეტიდან მის მიერ გაძევებული არაერთი მეცნიერის სიკვდილი;

პირი, რომელმაც პოლიციას ფაშისტური მეთოდებით დაასჯევინა უნივერსიტეტის პროფესურა, მათ შორის, მანდილოსნები და ასაკოვანი პროფესორები;

პირი, რომელმაც თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სააკაშვილის „ჯიბის სასამართლოს“ წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლებინა;

პირი, რომელმაც საკუთარი ნათესავებით, მეგობრებითა და მეზობლებით აავსო უნივერსიტეტი;

პირი, რომელმაც მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან სამართლის ინსტიტუტის გაყვანით სათავე დაუდო ეროვნული აკადემიის რღვევას და ა. შ.

ხუბუას რექტორობის პერიოდი ასოცირდება საუნივერსიტეტო სივრცეში ძალადობის, უმეცრების, უპრინციპობის მოძალებასთან, პარტიული ერთგულების ნიშნით კადრების შერჩევასთან, სწავლების დონის დაცემასთან და საქართველოში უძველესი და სახელოვანი სასწავლებლის პრესტიჟისა და რეპუტაციის განადგურებასთან;

დღეს ხუბუას, როგორც ჩანს, ისევ უნდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში მოსვლა და, რაც მთავარია, შეიძლება მან მხარდამჭერები დღევანდელ ხელისუფლებაში იპოვოს. ამ უკანასკნელთა საყურადღებოდ კი უნდა განვაცხადოთ:

ხუბუას „გათეთრების“ მცდელობაც კი უპერსპექტივო საქმეა, რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოების მიუტევებელი შეურაცხყოფაა. ამიტომაც, ხუბუას სავარაუდო მხარდამჭერებს გულწრფელად ვურჩევთ: ნუ გადააყოლებენ ამ უპერსპექტივო საქმეს ნურც თავიანთ სინდისსა და სახელს და ნურც – „ქართული ოცნების“ რეპუტაციას.

რაც შეეხება „ჟანრის ბესტსელერს“, მას ჩვენი საზოგადოება მაშინ ნახავს, როცა უნივერსიტეტში ხუბუას „მოღვაწეობასთან“ დაკავშირებული მასალები გამოქვეყნდება.

„ქართული აკადემია“
22.IV.2013

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კვლევა

ნეპოტიზმი და ვერშემდგარი კოჰაბიტაცია მუნიციპალიტეტებში



ყბადაღებული კოჰაბიტაცია ყველაზე მწვავედ მუნიციპალიტეტებში აისახა, მეტიც, უბრალოდ ვერ შედგა. ხოლო იქ, სადაც შედარებითი სიმშვიდე სუფევს, ბერკეტებს კვლავაც ნაციონალები ფლობენ. რატომ? იმიტომ, რომ კოალიცია საერთო კანდიდატზე ჯერ ვერ შეჯერდა. მაგრამ იქ, სადაც ცვლილებები განხორციელდა, მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ სუფევს: ან გამგებელი არ მოსწონთ, ან მისი მოადგილე, ხან ვინ და ხან ვინ.

სულ 18 მუნიციპალიტეტში გაიმართა საპროტესტო აქცია თანამდებობის პირთა გადადგომის მოთხოვნით: ქარელი, სენაკი, ნინოწმინდა, კასპი, ახალგორი, წალკა, ასპინძა, ქუთაისი, ხული და სხვ. აქცია ზოგან ფიზიკურ დაპირისპირებაში, გამგეობის პიკეტირებასა და შენობაში შეჭრაში გადაიზარდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების მონიტორინგი „ქორთიარდ მარიოტში“ წარმოადგინა, სადაც ასახულია შემდეგი მონაცემები: ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე 72 მუნიციპალიტეტიდან 50-მა გამგებელმა დატოვა პოსტი, მათგან 48-მ პირადი განცხადების საფუძველზე. თანამდებობა დატოვა 25-მა საკრებულოს თავმჯდომარემ, მათ შორის 21-მა საკუთარი გადაწყვეტილებით. ადგილობრივ თვითმმართველობაში განხორციელებული საშტატო ცვლილებების შედეგად 28 თებერვლამდე სულ 1877 თანამშრომელი გათავისუფლდა. მათ შორის მასობრივად დაითხოვეს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები. გათავისუფლებები შეეხო საბავშვო ბაღებს, დასუფთავებისა თუ გარეგანათების სამსახურებს. ათეულობით თანამშრომელს გათავისუფლების თაობაზე განცხადება ერთსა და იმავე დღეს აქვს დაწერილი, რაც, ბუნებრივია, ეჭვს ბადებს, მათი იძულების შესახებ. თანაც საჯარო სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლა, ტოტალური უმუშევრობის ფონზე, ფაქტია, რომ მხოლოდ პოლიტიკური მოტივით გაკეთებული გადაწყვეტილებაა და სხვა არაფერი.

როგორც საიას წარმომადგენელი **ეკა ფოფხაძე** აცხადებს: **„ასეთი ნებაყოფლობითი განცხადებები ძალიან ჰგავს წინა ხელისუფლების დროს სახელმწიფოსთვის საკუთარი ქონების ჩუქების ფაქტებს, რაც ცხადად მიუთითებდა იძულებაზე“.**

რაც უნდა კვლევები ჩაატარონ არასამთავრობოებმა, ისედაც გასაგები იყო, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება არსებითად შეცვლიდა ვითარებას ადგილობრივ თვითმმართველობებში. ხელისუფლების ცვლილებას ცენტრალურ დონეზე ბუნებრივად მოჰყვა ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილება, იმიტომ, რომ თავიდანვე არასწორად აღიქვამდა საზოგადოება თვითმმართველობის არსსა და ფუნქციას. თანამდებობის პირები წარსულში ნაციონ ალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. ამიტომაც ძალიან გაჭირდა მუნიციპალიტეტებში მათთან კოჰაბიტაცია.

ხელისუფლება სტატისტიკას იშველიებს და ამბობს, რომ გათავისუფლებულთა რაოდენობა საგანგაშო სულაც არ არის. პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა **ირაკლი მელაშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტებში ცვლილებები ცენტრალური ხელისუფლებიდან მართული პროცესი არ ყოფილა და თავად საზოგადოების დაკვეთა იყო ასეთი: **„თვითმმართველობებში მუშაობს 40 ათასამდე ადამიანი და აქედან მხოლოდ 5 პროცენტია გათავისუფლებული, ამიტომ ამას არა აქვს მასობრივი სახე. ჩემი აზრით, გათავისუფლებები კანონდარღვევით ხდებოდა, თუმცა პრემიერსა და მის აპარატს არანაირი იურიუდიული ძალა არა აქვს საიმისოდ, რომ პროცესი შეაჩეროს. ამის უფლება მხოლოდ გუბერნატორის აპარატს აქვს. ამის მიუხედავად, მთავრობის სხდომაზე გავა საკითხი და იგეგმება სამეთვალყურეო ორგანოს შექმნა, რომელიც, ალბათ, მხოლოდ რეკომენდაციებით თუ შემოიფარგლება... ისიც მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე რეგიონში გახლდით და გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს მთავრობის მიმართ, მხოლოდ იმის გამო, რომ თვითმმართველობებში ძირეული ცვლილებები არ განხორციელდა“.**

მელაშვილის ასეთი დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია უმცირესობისთვის. **პავლე კუბლაშვილმა** ოპონენტს ასე უპასუხა: **„თვითმმართველობებში მიმდინარე ვითარებას გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი და ეს იყო აბსოლუტურად კარგი და ჯანსაღი მიდგომა, მაგრამ ის, რაც გაცხადებულია ფურცლებზე და რაც რეალობაში ხდება, ერთმანეთს არ შეესაბამება. ეს არის ტყუილი, როცა გვაჯერებენ იმაში, რომ თითქოს ადგილებზე გაჩნდა ცვლილებების სურვილი არჩევნების დამთავრებისთანავე. ანკი რა უნდა ვთქვათ იმაზე, რომ კასპში ოლეგ იაძემ ერთდროულად 10 თანამშრომელი გაათავისუფლა?“**

ირმა ნადირაშვილიც ირწმუნება, რომ „ქართული ოცნება“ მხოლოდ იმ რაიონებს ვერ აკონტროლებს სრულად, სადაც ჯერ ვერ მოხდა შეთანხმება გუნდის შიგნით. **„დღეში ათეულობით ადამიანს ვესაუბრები, რომლებიც სამსახურიდან დაითხოვეს. ყველაზე საშინელი სიტუაცია ამ მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროშია. პროცესი გრძელდება. ამ დღეებში რეორგანიზაცია იგეგმება გურიასა და სამცხე-ჯავახეთში“...** — ამბობს ის. მართალია, ხელისუფლება ირწმუნება, რომ ამ ვითარების შესაჩერებელ ბერკეტებს არ ფლობს, თუმცა, ამის არ სჯერა ოპოზიციას. „ოცნება დაპირებულ სამუშაო ადგილებს თავისი ნათესავებისა და მხარდამჭერებისთვის ათავისუფლებს, თანაც ჯავრს იყრის ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიმართ“, — ამბობენ ისინი. დისკუსიას ესწრებოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გელა ხუციშვილი,** რომელმაც უარყო ნეპოტიზმი და ფინანსურ დანაშაულზე ალაპარაკდა: **„განა შეიძლებოდა არ გამეშვა ფინანსური სამსახურის უფროსი, რომელმაც წარმომიდგინა მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სატრანსპორტო საშუალებების შეძენის აქტები, ამ დროს კი მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ერთი ტრაქტორი, ერთი სასწრაფო დახმარების მანქანაც კი...“**

ოპოზიციას მიაჩნია, რომ ფინასნური გადაცდომების გამო ცალკეული პირები უნდა დაისაჯონ, ხოლო რაც შეეხება მასობრივ გათავისუფლებებს, მას წმინდა პოლიტიკური სარჩული აქვს.

საინტერესოა, რატომ უკვირთ ნაციონალებს ასეთი ფაქტები მაშინ, როცა 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ სწორედ ნეპოტიზმი ახასიათებდა, მაშინაც უბოდიშოდ დაითხოვეს და ჩარეცხეს შევარდნაძის მხარდამჭერები, „წითელი ინტელიგენცია“ და სხვა არასასურველი „კასტა“. დღევანდელი ხელისუფლება თვითმმართველობებში მიმდინარე ცვლილებებს ბუნებრივ პროცესად აღიქვამს (სამწუხაროდ, ძველ გამგებელს ახალი კი ცვლის, თუმცა მოსახლეობისთვის ამით არაფერი იცვლება). ნეპოტიზმი ქართველებისთვის არასოდეს ყოფილა უცხო და მიუღებელი. დღეს ამას ნდობით აღჭურვილი პირების დასაქმება დაერქვა. ნაციონალები კი მას გუნდურობას არქმევდნენ. მოკლედ, ასეთია ჩვენეული სახელისუფლებო ცვლილებები, განსაკუთრებული და საინტერესო...

ნია ფიფია

◎ ინფორმაცია

იშხანის აღდგენის საქმე წინ მიდის

ძართველმა სპეციალისტებმა იშხანთან დაკავშირებით რეკომენდაციებზე მუშაობა დაასრულეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან აცნობეს, ქართულმა დელეგაციამ მოამზადა რეკომენდაციები , რომელიც ყველა პროცედურის დაცვით ოფიციალურ ანკარაში იქნება გადაგზავნილი. ამ ეტაპზე იშხნის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოებში უკვე ჩართული არიან ადგილობრივი არქეოლოგები და ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაობის პროცესი გარკვეულწილად სიძველეთა დაცვის შესაბამის ჩარჩოებშია მოქცეული.

◎ რეიტინგი

სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ინფლაცია ახალი მთავრობის „აქილევსის ქუსლად“ რჩება

რაზე მიგვანიშნებს ლუის ნავაროს უნყების კვლევა?

მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად სამუშაო ადგილები რჩება. კვლევამ, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა, ცხადად აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ჯერ ისევ მაღალია, თუმცა, იმ იმედით, რომ ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას გადაწყვეტს ხელისუფლება. სწორედ ამიტომ ინარჩუნებენ დომინანტურ პოლიტიკურ აქტივობას პრემიერ-მინისტრი და მისი გუნდი. კითხვაზე, ხვალ რომ ადგილობრივი არჩევნები ტარდებოდეს გამოკითხულთა 62 პროცენტი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას.

თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გასული წლის ნოემბერთან შედარებით გამოკითხულთა პოზიცია იცვლება. მაგალითად, თუკი მაშინ მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს იდგა ქართული ოცნება, ეს ციფრი ოდნავ შემცირდა.

ზოგადად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებს ძალიან სკეპტიკურად უყურებდა ხელისუფლება მაშინ, როცა ის ოპოზიციას წარმოადგენდა, ვინაიდან ლუის ნავაროს რეიტინგები წინა ხელისუფლების სასარგებლოდ იხრებოდა. მსგავსი პრეტენზია ამჯერად ახალმა ოპოზიციურმა პარტიებმა გამოთქვეს, ნაციონალების გარდა, ვინაიდან გამოკითხვა მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის გარშემო ტრიალებს.

ბიძინა ივანიშვილის რეიტინგმა დაიწია. თუკი ის ნოემბერში 80 პროცენტს მოსწონდა, მარტში 75 პროცენტის მოწონება დაიმსახურა. დაიწია ზვიად ძიძიგურის, კობა დავითაშვილის, თინა ხიდაშელის, მანანა კობახიძის, დავით საგანელიძის, გუბაზ სანიკიძის მოწონების მაჩვენებელმა. დავით უსუფაშვილისა და დავით ბაქრაძის რეიტინგები გაიზარდა. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობენ მინისტრები თეა წულუკიანი, ირაკლი ალასანია, ირაკლი ღარიბაშვილი, მაია ფანჯიკიძე. ბოლო პოზიციას იკავებენ დავით დარახველიძე და ალექსი პეტრიაშვილი.

კითხვაზე როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას შემდეგ სფეროებში, პირველ პოზიციას იკავებს ციხეები (ძალიან კარგად შეაფასების კრიტერიუმით), პასუხით კარგად, მას უსწრებს ჯანდაცვა. ასევე ძალიან კარგად არის შეფასებული სოფლის მეურნეობა, ადამიანის უფლებები და რუსეთთან ურთიერთობა. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, სიღარიბესა და ფასების ზრდას მათ თანაბარი შეფასების კრიტერიუმი აქვთ. ძალიან კარგად აფასებს მხოლოდ 2 პროცენტი, კარგად 15 პროცენტი, საშუალოდ 38 პროცენტი და ცუდად 26 პროცენტი. მაგრამ გამოკითხულთა 50-დან — 60 პროცენტამდე მიიჩნევს რომ ამ პრობლემის მოგვარება ქართულ ოცნებას შეუძლია. მხოლოდ საშუალოდ 4-5 პროცენტი ფიქრობს, რომ ამას ნაციონალური მოძრაობა შეძლებს. სხვა პარტიები გამიკითხვებში არ ფიგურირებენ. მხოლოდ ერთგან — რომელ პარტიას მიიჩნევთ ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად საქართველოში, გამოკითხულთა 56 პროცენტი ასახელებს ნაციონალურ მოძრაობას, ლეიბორისტებს — 2 პროცენტი, ქრისტიან-დემოკრატებს, დემოკრატიულ მოძრაობასა და თავისუფალ საქართველოს თითო-თითო პროცენტი ერგო. სხვათა შორის, კითხვაზე, მოგწონთ თუ არა კახა კუკავა, ის გამოკითხულთა 25 პროცენტს მოსწონს, განსხვავებით ნოემბრისგან, როცა მას მთელი ათი პროცენტით მეტი მოწონება ჰქონდა. ნინო ბურჯანაძეს თანაბარი რეიტინგი აქვს ნოემბერსა და მარტში, გიორგი თარგამაძეც გაცილებით ნაკლებს მოსწონს, ვიდრე ეს იყო ნოემბერში. ჩამონათვალში არ არის შალვა ნათელაშვილი.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ის მოსწონს გამოკითხულთა 25 პროცენტს, ხოლო ნოემბერში მოსწონდა — 20 პროცენტს. არ მოწონების კრიტერიუმი 51-51 პროცენტით განისაზღვრა. მის საქმიანობას კარგად აფასებს 13 პროცენტი, საშუალოდ 34 პროცენტი, ხოლო ცუდად 26 პროცენტი.

ძალიან მაღალი ნდობის ხარისხი აქვს პატრიარქს. ილია II მოსწონს გამოკითხულთა 92 პროცენტს. ხოლო მის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს 73 პროცენტი. მხოლოდ და მხოლოდ 1 პროცენტი მიიჩნევს ცუდად.

თბილისის მერს თითქმის იდენტური რეიტინგი აქვს. ისიც მოსწონს 25 პროცენტს, არ მოსწონს 52. უგულავას საქმიანობას კარგად აფასებს 11 პროცენტი, თუმცა, ნოემბერში ასე მხოლოდ 4 პროცენტი ფიქრობდა.

გამოკითხულთა 27 პროცენტი ეთანხმება, რომ არსებული ხელისუფლება ახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, ხოლო 58 პროცენტი ნაწილობრივ ეთანხმება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვა 19 აპრილის აქციასაც შეეხო. 70 პროცენტმა იცოდა აქციის „დასავლური და არა პრორუსული მომავლის“ შესახებ, თუმცა, ეთანხმებოდა მხოლოდ 17 პროცენტი. ზოგადად ამდენივე პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა 47 პროცენტი ამბობს, რომ საფრთხე გაზვიადებულია.

საინტერესოა, რამდენად გაზვიადებულია გამოკითხვის ციფრები, თუმცა, ლუის ნავარო ირწმუნება, რომ ცდომილება მხოლოდ 2,5 პროცენტია. კვლევა ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით და 3 ათასამდე ადამიანი გამოიკითხა. ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირდაპირ ინტერვიუს მეთოდით, მაგრამ აქ გადამწყვეტია გულწრფელობა...

თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გვეხმაურებიან

პატიოსან მეწარმეებსაც აზარალებენ და ბიუჯეტსაც!

რეგიონიდან დანახული პრობლემები

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის 22 მარტის ნომერში წავიკითხე ბატონ ოთარ ხუციშვილის მეტად აქტუალური წერილი – „ბიუჯეტი მილიონებს კარგავს, მგზავრი – კომფორტულ მომსახურებას“. ვეთანხმები წერილში გამოთქმულ საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტის ბატონ რაჟდენ კიკილაშვილის იმ მოსაზრებას, რომ არსებული სიტუაციის დასარეგულირებლად და ქაოსის აღმოსაფხვრელად საკმაო საკანონმდებლო ბაზაც არსებობს...

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ საკანონმდებლო ბაზის ასამოქმედებლად (ქვეყნის შიდა ბაზარი მაქვს მხედველობაში) ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისი ბერკეტები არა აქვს.

აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ამჟამინდელი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, როცა ამ საზოგადოების თითოეული წევრი ქვეყანაზე, საქვეყნო საქმეზე ფიქრსა და ზრუნვას პირად აუცილებელ საქმედ არ მიიჩნევს, ბიზნესის სფეროში სახელმწიფოს ზედმეტმა ჩარევამ, როგორც წესი, უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს (საჯარო მოხელეც ჩვენი საზოგადოების შვილია!).

ჩემი აზრით, სწორედ ზოგიერთი საჯარო მოხელისა და მათთან „დაახლოებული“ მეწარმეების მცდელობის შედეგი იყო ის, რომ 2008 წლის მეორე ნახევრამდე, სანამ დამტკიცდებოდა „მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ ტექნიკური რეგლამენტი, ამ სფეროში სრული ქაოსი ყვაოდა.

ქაოსი გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ტექნიკური რეგლამენტის გამოსვლამდე, ინერციით ჯერ კიდევ სახელმწიფოს „მიბმულმა“ გადამყვანმა საწარმოებმა მოახერხეს მგზავრთა გადაყვანისა და მომსახურების პროცესიდან ზოგჯერ ავტოსადგურების სრულად გამოთიშვა. ვინმემ რომ არ იფიქროს, რა ასეთი ჯინი სჭირდათ ავტოსადგურებისო, აქვე განვმარტავ, რომ ავტოსადგურები (ნებსით თუ უნებლიეთ) აღნიშნავდნენ ამ გადამყვანების რეისებს, გარკვეულწილად – შემოსავლებსაც... **ჩვენ, ქართველების უმრავლესობა კი, როგორც წესი, ქვეყნის პრობლემებზე ფიქრზე მეტად, საკუთარ ჯიბეზე ვართ ორიენტირებული და, რომელი გადამყვანი ისურვებდა ავტოსადგურში შესვლას და თავისი შემოსავლების „ნებაყოფლობით ლეგალიზაციას“?**

მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, როცა „მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ ტექნიკურ რეგლამენტს „გვერდით ამოუდგა“ მეორე ტექნიკური რეგლამენტი – „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები“ **2010 წლის 1 თებერვალს შეტანილი ცვლილებებით, სადაც პირდაპირ ჩაიწერა, რომ „საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ავტობუსების რეისში გასვლა ხდება ავტოსადგურიდან“.**

ერთი სიტყვით, საკანონმდებლო ბაზა არის, მაგრამ როგორ ავამოქმედოთ იგი პრაქტიკულად? აი, სწორედ აქ არის პრობლემა!

გვქონდა ასეთი შემთხვევა: გაირკვა, რომ ავტოსადგურებს „ჯვარიზუგდიდის“, „ზუგდიდი-ჯვარის“ შორის არსებული რეისების პარალელურად ჩვენი პარტნიორი მოპირდაპირე კომპანია ზუგდიდიდან, თავისივე და, ბუნებრივია, ჩვენი ავტოსადგურის, გვერდის ავლით დღეში რამდენიმე რეისს ახორციელებდა ჯვარის ერთი ქუჩიდან (უბნიდან). როცა პარტნიორთან „ლოგიკის რეზერვი“ უშედეგოდ ამოვწურეთ, ამის შესახებ, კანონისამებრ, საქმის კურსში ჩავაყენეთ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაცია, რომელმაც საქმის შესასწავლად დაუყოვნებლივ მოავლინა შესაბამისი თანამშრომელი და პრობლემაც, ასე თუ ისე, გადაიჭრა, მაგრამ საქართველოს რომელიმე კუთხეში მსგავსი თუ სხვა პრობლემა წარმოიშობა, სააგენტო, რაც უნდა მონდომებული და პრინციპული იყოს, რას გაწვდება?!..

არადა, პრობლემა საკმაოდ ბევრია. ბუნებრივია, ნებისმიერი მათგანი როგორც პატიოსან მეწარმეებს, ისე ქვეყნის ბიუჯეტს ერთნაირად აზარალებს.

ამას წინათ, საკუთარი მანქანით ვიყავი ზუგდიდში. ბაზრის სიახლოვეს ვერ ვნახე შუკა, სადაც მგზავრების მომლოდინე ფირნიშიანი მიკროავტობუსები მგზავრებს არ ელოდებოდნენ. როგორც გავარკვიე, ეს ადგილები მათი მუდმივი „სადგომებია“. **ასეთ ადგილებს როგორც წესი, გარკვეული საფასურის ფასად (აბა, ისე ვინ დააყენებთ?!) აფარებენ თავს სოფლების „რეისები“, რომლებსაც, ბუნებრივია, ის ადამიანები მფარველობენ, ვინც, პირიქით, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ამ სფეროში წესრიგის დამყარებით.**

ამ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით ადრე, 2011 წლის 18 ოქტომბრის წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვთავაზობდი (სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს, რომლის კომპეტენციასაც საკითხის გადაწყვეტა აღემატებოდა, ასლი გავუგზავნე): **„...ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ყოველ სამხარეო ადმინისტრაციულ ერთეულში ჰყავდეს თუნდაც ერთი პიროვნება (თანამშრომელი თუ ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე), რომელიც გააკონტროლებს კანონიერებისა და არსებული წესების დაცვას მგზავრთა გადაყვანის სფეროში და უფლება ექნება, ოპერატიულად ადგილზე *მოახდინოს* შესაბამისი რეაგირება დარღვევაზე: მიუთითოს, დააჯარიმოს, შეუდგინოს დარღვევის ოქმი, გამოუწეროს ქვითარი თუ სხვა. ეს უამრავი კეთილსინდისიერი მეწარმის გულსაც მოიგებს, სახელმწიფო ბიუჯეტსაც სასიკეთოდ წაადგება და ქვეყანაში სამართლიანობის განცდასაც გაამყარებს“.**

მიმდინარე ეტაპზე, სანამ ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობის საკითხები არ გადაწყდება, ამგვარ შეთავაზებას, ალბათ, აზრი არა აქვს. ამიტომ გვაქვს ახალი წინადადება:

ერთი მხრივ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (თუ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს) და, მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს (საპატრულო სამსახურს) შორის (ან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან) გაფორმდეს შეთანხმება (მემორანდუმი თუ სხვა რამ), რომლის ძალითაც ამ უკანასკნელის თანამშრომლები შესაბამისად დააჯარიმებენ მგზავრთა ნებისმიერ გადამყვანს (როგორც აღურიცხავად მომუშავეს), რომელსაც სათანადო ავტოსადგურის უწყისი ან საგზურის ფურცელზე ამავე ავტოსადგურის შტამპი (ბეჭედი) არა აქვს.

სამწუხარო რეალობაა: მგზავრის თითქმის ყველა გადამყვანი, რომელიც ავტოსადგურების გვერდის ავლით დადის, ან არ იხდის ან იპარავს!

მურად ჟანტურია,
შპს „პრესა-იალონის“ დირექტორი
და მთავარი რედაქტორი

◎ თარიღი

დიდი გზა, რომელიც ფოთში იწყება...

მარად ხალხის სამსახურში

რაოდენ სასიხარულოა, რომ პიროვნება მიაღწევს ფრიად სოლიდურ ასაკს და ასეთ საიუბილეო თარიღს, დამსახურებისამებრ, აღნიშნავენ მისი ოჯახი, შთამომავლობა და საზოგადოება.

ორმაგად დასაფასებელია, რომ ასეთი იუბილე გულწრფელად აღინიშნება ერთიანი მონდომებით და არა ამბიციურად, განდიდების მანიით შეპყრობილთა თვითინიციატივით.

სწორედ ასეთი დამსახურებული პიროვნებაა ბატონი კაკო ცხადაია, რომელიც უარზეც კი იდგა და თავს იკავებდა თავისი საიუბილეო თარიღის ფართო მასშტაბით აღნიშვნისგან.

„ქ.თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების“ გამგეობამ მაინც გადაწყვიტა შეხმიანებოდა ბატონ აკაკი ცხადაიას ნამდვილად ღირსშესანიშნავ იუბილეს, მიელოცა მისთვის, მისი ოჯახისთვის, მისი ყოფილი თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის ასეთი ზეიმი.

იუბილარის ბიოგრაფია დამახასიათებელია დიდი საბჭოთა ქვეყნის უფროსი თაობის წარმომადგენელთათვის:

იგი დაიბადა 1923 წლის 24 აპრილს, ქ.ფოთში; დაწყებითი განათლებაც იქვე მიიღო, ხოლო საშუალო სკოლა, ფრიადოსნის ატესტატით, 1940 წელს დაამთავრა ქ.თბილისში და იმავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

პირველი კურსის დამთავრება დაემთხვა სამამულო ომის დაწყებას და უკვე 25 ივნისს, ოჯახის დაუკითხავად, მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. ჩაირიცხა ქ.ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1942 წლის მარტში, რის შემდეგაც მოქმედ არმიაში, იბრძოდა უკრაინაში, მიღებული აქვს სამამულო ომის I ხარისხის ორდენი; მძიმედ დაიჭრა, გადაიყვანეს თადარიგის ოფიცრად, თუმცა, აგრძელებდა სამსახურს საჯარისო ნაწილებში.

1945 წელს აღადგინეს უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს და განაწილდა მათემატიკის მასწავლებლად ქ.ფოთში, ხოლო უკვე 1952 წელს დაინიშნა ქალაქის განათლების განყოფილების გამგედ, სადაც თითქმის 25 წელი იმუშავა; სწორედ ამ წლებში გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია და ნიჭი, როგორც მოქალაქისა და დარგის ორგანიზატორის; მისი ენთუზიაზმი და ენერგია, პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი, რითაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მოღვაწეობის მთელს პერიოდში და რომელსაც იგი ახმარდა მრავალეროვან ქალაქში, ცნობილ საზღვაო კარიბჭეში, ეროვნული კადრების აღზრდასა და მომზადებას. მისი ერთ-ერთი კრედო მდგომარეობდა იმ რწმენაში, რომ პიროვნების აღზრდა და ფორმირება იწყება ოჯახსა და სკოლაში და სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა მოახმაროს ამ დიდ საქმეს. სწორედ ამ წლებში, მისი პირადი ინიციატივით, ჩამოყალიბდა ქალაქის ყველა საშუალო სკოლიდან წარმატებული უფროსკლასელების გაერთიანებული ჯგუფი, რომელსაც პედაგოგებად გაუმწესდნენ ცნობილი, გამოცდილი და მაღალპროფესიული სპეციალისტები; შედეგმაც თავი იჩინა: – სწორედ ამიტომაც იყო მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი ქ.ფოთის საშუალო სკოლების იმ კურსდამთავრებულთა შორის, რომლებიც ირიცხებოდნენ საბჭოთა კავშირის მრავალ უნივერსიტეტსა და დარგობრივ ინსტიტუტებში.

სწორედ ამიტომ ამშვენებს მის პიროვნებას სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი უმაღლესი ჯილდოები, დაწყებული შრომის წითელი დროშის ორდენითა და დამთავრებული ღირსების ორდენით.

მას მოუწია ისეთი გამორჩეული მოქალაქეებისა და განათლების წარჩინებულ პიროვნებებთან თანამშრომლობა და მათი თავკაცობა, როგორებიც ქ.ფოთის სინამდვილეში იყვნენ მართლაც საყოველთაოდ ცნობილი პორფილე ბარამიძე, თინა ჭოჭუა, პიმენ ნაცვლიშვილი, ალექსანდრა აბდუშელაშვილი, ვერა შელია, დავით ხოჭოლავა, თინა სარიშვილი, გრიშა წულაია, ნინა ქოიავა, თამარ გაბუნია, გრიშა წულაია, ვანო ფაცაცია, გიული ჟვანია, კოტე ჭანტურია და სხვები – ასეულობით ახალგაზრდის აღმზრდელები, რომლებმაც არამხოლოდ რესპუბლიკის ფარგლებში იმოღვაწეს ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

ბატონი აკაკი ცხადაია 1976 წელს დაინიშნა თბილისში კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის დირექტორად. ცნობილია ამ სასწავლებლის დონე, კურსდამთავრებულთა წარმატებები, დიდი და საყოველთაო სახალხო ავტორიტეტი და პატივისცემა, როგორც განსაკუთრებული დონის სასწავლო კერისადმი, რომელსაც აგრეთვე დაატყო მან თავისი ხელწერა. სწორედ ამისთვის მიენიჭა მას, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წარდგენით, საკავშირო დონის წოდება „სსრკ-ის განათლების წარჩინებული“.

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ უკვე 2011 წელს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გადასცა მას უკრაინის სახელმწიფო ჯილდო-მედალი „უკრაინის განთავისუფლებისთვის“.

დღეს ბატონი კაკოს დიდ იუბილეს – 90-ე წლისთავს ნამდვილად დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავს ფოთისა და თბილისის საზოგადოება.

„ქ.თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა

◎ ინფორმაცია

ავღანეთიდან 32-ე ბატალიონის ბოლო ნაკადი საქართველოში დაბრუნდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ქართველ სამხედროებს აეროპორტში თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლევან დოლიძე, აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და III ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მალსაზ მერლანი დახვდნენ. მათ დადებითად შეაფასეს ქართველი სამშვიდობოების ავღანეთში შესრულებული მისია და ჯარისკაცებს სამშობლოში დაბრუნება მიულოცეს.

– ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღეს, მნიშვნელოვნად გამოადგება საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომ განვითარებას, აღნიშნა ლევან დოლიძემ.

აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ქართველ სამხედროებს ავღანეთის საერთაშორისო მისიაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

32-ე ბატალიონის სამშობლოში დაბრუნება ეტაპობრივად მოხდა. ისინი ავღანეთში, როტაციის წესით, IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სკანდალი

დემოკრატიას დიდი ეუცელი აქვს

იმ ღამით ნაქეიფარ გოგიას დილაუთენია ჯერ დედაკაცმა აუწეწა ნერვები და ახლა კიდევ კურდღელაანთ ნესტორა დაადგა თავზე.

— ისევა გძინავ, ჯო, — შეალაჯა ოთახში მეზობელმა, — წუხელ ტელევიზორ არ უყურე?

— ტელევიზორითვინა მცხელა, კაცო, ვერა ხედამ, ვენახი სეტყვამ მოინელა.

— შენ ვენახსა ჩივი და ქვეყანა კიდე ამ გაუთავებელმა სკანდალმა მოინელა.

— წუხანდელმა ქარმა კრამიტი ისევ დაგიცურა? — შეეჭვდა გოგია, — მაინც სად იყო ეგ სკანდალი?

— სად იქნებოდა, გუშინ ქუთაისში, პარლამენტის სხდომათა დარბაზში იმისთანა ჭექა-ქუხილი ამტყდარა, თურმე ჭერიდან სუ ბათქაში ცვიოდა.

— მანდ ბათქაში კაიხანია ცვივა, შენ ეგ მითხარი, ახალი რა მოხდა?

— არც ახალი აკლიათ. იმ გაცხარებული კამათის ჟამს კიდევ კარგი მოწინააღმდეგენი ჭერიდან ჩამოსულმა წვიმამ გააშველა, თორემ გაწიწმატებულ-გავეშებული „ნაცები“ და „მეოცნებენი“ ნაღდად ერთმანეთს დახოცავდნენო.

— ეგ ვიღამ ჩაგიკაკლა?

— აი იმ ასპიტა გოგომ, ტელეეკრანიდან „ოცნების“ შესამკობად ენას რომ ატყლაშუნებს ხოლმე.

— მაგასა, ძმაო, იმნაირი ენა აქვს, მთავრობას კი არა, კაკალს დაბერტყავს. მაინც რა თქვა, რა მოხდაო?

— რაღა რა მოხდა, ჯო, ჩვენ რო გვგონია, მიშა ქვეყანას აშენებსო, მაგას კიდე თურმე მთელი ბიუჯეტი შეუჭამია.

— შეჭამდა, აბა არ შეჭამდა? — გაიზმორა გოგია, — ვერ უყურებ რამსიმაღლე პრეზიდენტი გვყავ, თანაც როგორი ღონიერი და დემოკრატი.

— დემოკრატობა აქ რა შუაშია? — გაიკვირვა ნესტორამ.

— სწორედაც რომ შუაშია, უნდა იცოდე, დემოკრატიას გაცილებით დიდი მუცელი აქ, ვიდრე მონარქიასა თუ იმპერიას. დამიჯერე, მიშა თუ მაძღრისად არ იკვება, საქართველოში დემოკრატია დაგვემშევა და მთელ დუნიაზე მოგვეჭრება თავი.

— ეგ აღარ ვიცოდი! — დაიხია ნესტორამ, — მაგრამ თუ ჭამაა, იმდენი მაინც ჭამოს მაგ კაიკაცმა, რო ქოსმენივით არ გასუქდეს და მერე მისი გახდომაც ბიუჯეტის თავში სახლელი არ გახდეს.

— მაიცა, მაიცა, — შეიცხადა გოგიამ, — ეგ ყურუმსაღი გახდომაშიც ჩვენ ფულსა ჭამს?

— მაა, აბა რას გეუბნები, შარშან საკაშვილი და უგულავა ავსტრიაში ერთობლივად გამხდარან და ბიუჯეტიდან მარტო მაგ საქმისთვის 115 ათასი ლარი გაუსვრიათ!

— კარგი ერთი, კაცო, მაგრამ მაგ ულმერთოებს გახდომისა რო არაფერი ეტყობათ? მიშა კიდე ჰო, რაღაც ხლაფორთობს, აგე ამას წინათაც თურქეთში ველოსიპედიდან გადმოვარდა და ლამის კისერი წაიმტვრია, მაგრამ ეს უგულავა ისევ დათვივით დაბუნძულებს.

— მაგას არა ვჩივი? — გაწყრა ნესტორა, — მაგათ სუქება-გახდომაში დიდალი სახელმწიფო თანხები იფლანგება, შედეგად კი ხელში არაფერი გვრჩება.

— მარტო თავად რო თქვლეფავდნენ, კიდე ავიტანდით, მაგრამ ეს უცხოელებიც რომ საჭამპურად წამოგვასვეს?

— ვის გულისხმობ, — დაინტერესდა გოგია.

— ვის აღარ, ჯო, რამდენი თითლიბაზი მუსიკოსი, მოცეკვავე, მსახიობი თუ ჯაზმენი ეწვევა საქართველოს, ბიუჯეტიდან იმდენი მილიონი დოლარი ორთქლდება. აღარას ვამბობ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებზე, მარტოკა უკრაინელმა იუშჩენკომ თურმე ერთ წვეულებაზე 400 დოლარის თაფლი დააგემოვნა.

— არა, მაგაში პრეზიდენტს ვერ გაამტყუნებ, — გამოესარჩლა გოგია, — ხო აგვიხსნა კიდეც, უცხოელები თუ არ აქეიფა და არ ეპლურწ-ეჭყანა, ეს ამდენი ინვესტორები, ძმაო ჰაერიდან კი არ ცვივა!

— ჰოდა, მივუშვათ არა მიშა თავი ნებაზე. მაგან თუ ასე ფლანგა და ანიავა ქვეყნის ქონება, მაშინ ეკონომია ვიღამ გააკეთოს?

— ვინა და ჩვენ, რიგითმა მოშიმშილეებმა, აგე, ყიტაანელმა ალანამ ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცა.

— ეგეთი რა მოიმოქმედა?

— რა და, ფული რო არ ჰყოფნიდა, ადგა და ეზოში ნახევარტუალეტი ჩადგა, რომელიც კაცს მხოლოდ წელსქვევითა ფარავს.

— მერე?

— ამ ამბავმა მთელი სოფელი ააღელვა და მას დიდი სკანდალიც მოჰყვა.

— რას ედავებოდნენ?

— სოფლის უპატივცემულობაში სდებენ ბრალს.

— მერე, ძალით ვერ დაანგრევინეს?

— ვერა, გაჯიუტდა, ისიც გვეყოფა, მთავრობა რო გვყავს მფლანგავი, სახსრები ჩვენ მაინც უნდა ვხარჯოთ მომჭირნეობით, წელსზევით ტუალეტის აშენება ზედმეტი ხარჯიაო.

— ეგ საქმე როგორ დამთავრდა?

— ცუდად. თანასოფლელებმა, იმის მაგივრად რო „ოცნებისთვის“ მიებაძათ და გიგოლასთან ეკოჰაბიტაციათ, მეზობელს ისიც დაუნგრიეს, რაც აშენებული ჰქონდათ.

— მერე, ჯო, უჩეჩმოდ დარჩა?

— რა ქნას აბა, სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება (სარჩელი უკვე შეტანილი აქვს). იმედი აქ, რო რეფორმის წყალობით მოსამართლე გაობიექტურდება და განაჩენს მის სასარგებლოდ გამოიტანს.

— მაგრამ ამ ჩემაელებმა (ნაცებზე გეუბნები), ეროვნული მოძრაობა ისევ თავიდან რო წამაიწყეს?

— აბა კაცო, მთლად გადაირივნენ. ეტყობა, გუმანში აქვთ, რაც ცხრა წლის მანძილზე შეუჭმელი დარჩათ, მოგვიტრიალდნენ და თავიდან შეგვიჭამონ!

ოტია ჩართოლანი

ალიან-ჩალიანი

ბზის მოჭრაზე კონტროლი გამკაცრდება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ამის მიზეზი კოლხური ბზის განადგურების საფრთხეა.

— კოლხური ბზა ენდემური სახეობაა, არის კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტი და უძვირფასესი სამერქნე მცენარე. იზრდება ძალზე ნელა და ხასიათდება არეალის შემცირების ტენდენციით, რისი უმთავრესი მიზეზიც უკონტროლო ჭრაა. ამის გამო, კოლხური ბზა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. კოლხური ბზის განადგურების რეალური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტროსა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით მკაცრდება კონტროლი ბზის მოჭრაზე და სამართალდამრღვევზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები, — აცხადებენ სამინისტროში.

კერძოდ, სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამრღვევს ჯარიმა დაეკისრება ყოველი მოტეხილი ტოტისთვის. ჯარიმა 200-დან 600 ლარამდე მერყეობს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 1000 ლარს გადააჭარბებს — სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

ეკლესიის ყოფილ წინამძღვარს დაუპირისპირდნენ

ვარიანში ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი სოფლის ეკლესიის ყოფილ წინამძღვარს უპირისპირდება. ვარიანელების მტკიცებით, მიწის ფართობი, რომელიც სოფელმა ეკლესიას დროებით სარგებლობაში გადასცა, დეკანოზმა გრიგოლმა (გოგიჩაძე) კერძო საკუთრებად დაიკანონა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, დაპირისპირების დეტალებში გასარკვევად სოფელში შეკრებილ მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეხვდნენ და დავის სამართლებრივი გზით მოგვარება ურჩიეს.

მამა გრიგოლი და მისი მხარდამჭერები ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ პროტესტის უკან სხვა პირების კერძო ინტერესები დგას.

სოფელ ვარიანში, ეკლესიის ყოფილ წინამძღვარსა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთ ჯგუფს შორის უთანხმოება რამდენჯერმე მოხდა.

ქართული სიძველეები ბრიტანეთის მუზეუმში მოინახულეს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია ლონდონში ვიზიტის ფარგლებში ბრიტანეთის მუზეუმს ქართული სიძველეების დასათვალიერებლად ესტუმრა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მუზეუმში ქეთევან წამებულის კუთვნილი ტიხრული მინანქრის მედალიონი და უძველესი ქართული მონეტები ინახება. დავით აღმაშენებლის დროინდელი მონეტა მე-12 საუკუნით თარიღდება. მასზე თავად მეფე დავითია გამოსახული. ეს მონეტა არის ერთადერთი ორიგინალი, რომელიც ამ დრომდეა შემონახული. გადმოცემის თანახმად, მონეტა თურქეთში ერთმა კოლექციონერმა იყიდა, რომლისგანაც შემდგომში ის ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა. აქვე ინახება თამარ მეფის დროინდელი მონეტაც, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო საკმაოდ უცნაური ფორმით არის შემორჩენილი.

კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი მუზეუმში მონეტებისა და მედალიონების განყოფილების უფროსს ფილიპ ედვუდს შეხვდნენ.

ქართული მონეტები მუზეუმის სასწავლო ოთახში ინახება და მათი ნახვა სამუშაო დღეებში, დროის წინასწარი დაჯავშნის შედეგად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მონეტებისგან განსხვავებით ქეთევან წამებულის კუთვნილი უძველესი მედალიონი მუზეუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარბაზშია გამოფენილი.

არსებობს მოსაზრება, რომ XII-XIII საუკუნით დათარიღებული ქეთევან წამებულის კუთვნილი მედალიონი თავდაპირველად ჯვაროსნული ომების ერთ-ერთ მთავარსარდალს ეკუთვნოდა და მოგვიანებით აღმოჩნდა ქართველი დედოფლის კუთვნილებაში.

ტიხრული მინანქრით შემკული მედალიონის ერთ მხარეს წმინდა დემეტრეა გამოსახული, მეორე მხარეს კი — წმინდა გიორგი. მედალიონი იხსნება და შიგნით სხვადასხვა ეპოქის წმინდა ნაწილები ინახება.

ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● **აფსუს! არ დაცალდა ნაგმოძრაობას ახალი ქართველის გამოყვანა. ძლივს მივეჩვიე ახლობლის ჩაშვებას, გეი-პარადების მისალმებასა და დოსტოევსკის დეფით ჩანაცვლებას და აი, ახალი ძალა მოვიდა. ახლა ესენი დაიწყებენ ექსპერიმენტებს. მე კი უკვე რამე ახლის სწავლისთვის სასიცოცხლო ძალები აღარ მრჩება!**

● **ამბობენ, ხუხაშვილი დავითაშვილს არადეპუტატად მოსმას უპირებსო :)**

„პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ გია ხუხაშვილი და 10 თბილისელი, რომლებმაც დავითაშვილს „შპიონი“ უწოდეს და „შატალოზე“ დარჩენა დასდეს ბრალად. მეშვიდე თბილისელის განცხადებით, “„ხვალ რო მოვა პარლამენტში, მაგას ნახე რა მოუვა.“

● **რატომღაც ახლა უცებ გამახსენდა. კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა სამი წლის წინათ სუფრასთან ლექსი წამიკითხა, მერე რელიგიაზე ჩამოვარდა საუბარი და ყველას გვაჩვენა, რომ გულზე იმხელა ჯვარი ეკიდა, მინიმუმ 50-გრამიანი ოქრო იქნებოდა... მაშინ დავფიქრდი და დღეს უფრო ვფიქრობ, როგორი „არარომანტიკული“ სამსახური ჰქონდა ამ რომანტიკოსს და გულწრფელად სჯეროდა, რომ სწორ სისტემას ემსახურებოდა... ხო, კიდევ... იმხელა ყანწით დალია ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელო... მომიბრუნდა და მითხრა, ღმერთი რომ იყოს, ამ ჯვარზე ამოვახატინებდი და ვატარებდიო!**

● **დებო და ძმებო!**

მშრომელთა თხოვნის გათვალისწინებით „ერთდღიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ იქნებ გაიმეოროს 19 აპრილის მიტინგი ბისზე, ასე ორ კვირაში, ძველი სტილით? თორემ რაღაც მოწყენილად ვარ!

● **ქალი მწერალი არა კიდევ ისა, ქალი ადამიანი!**

რად უნდა ეს განმარტება — არ გვეტყობა, ქალი ვართ, თუ კაცი?! ;)

ბარემ მარსელიეზა დავწეროთ და გუნდად შევასრულოთ:
„ჩვენ ვართ ტანჯული ქალი მწერლები,
გაუხარელი პროზის შვილები,
ნაზი გრძნობებით, სუსტი ხელებით
ვამსხვრევთ ბორკილებს თმაგაშლილები.
მჯერა, ამოვა ჩვენი მნათობი,
მზეს გადაუფრენს ჩვენი მერანი,
ჩვენც დაგვეთმობა სადმე ფართობი,
და გაიხარებს ქალი მწერალი“

● **წიგნის მაღაზიები უერთდებიან ე.წ. გამომცემლობების და ე.წ „მწერლების“ პროტესტს სასკოლო წიგნების ბავშვებისთვის უფასოდ გადაცემასთან დაკავშირებით.**

თქვენი პროტესტის გრძნობა (და სხვა გრძნობებიც)... აქეთ, „შორს გაიტანეთ“ და გაყიდეთ ბურჭულაძე, დეისაძე დ.ა.შ.

კიდევ ერთხელ ვამბობ:

ვისაც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, სკოლის მოსწავლეებისთვის წიგნების უფასოდ დარიგების შესახებ არ მოგწონთ, ბურჭულაძის, დეისაძის და სხვა მაგნაირი „მწერლების“ წიგნები დაახვიეთ და გაიკეთეთ!!!!!!!!!

ტარიელ ჭანტურია, 26 მაისს მიღებული ორდენიც მიაყოლე!!!!!!!!

● **უწიგნურ ერს ვერაფერს დააკლებს წიგნის მაღაზიების გაფიცვა.**

● **ნაცებო, მართალია აფრიკული კი არა, საკუთარი ერის ანდაზები არ იცით, მარა მაინც გეტყვით ერთს, რა იცი როდის გამოგადგებათ:**

— მაიმუნს რო სიკვდილი უწერია, იმ დღეს ყველა პალმა სლიპინა ხდებაო.

გია გაბრიჭიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელისუფლებისა და ოპოზიციის 4 საბედისწერო წელიწადი

„თძვენ ხართ ის ხალხი, ვინც მიხვდა, რომ საქართველო გასაჭირშია. რუსულმა იმპერიამ, ბრძოლით ვერაფერი დააკლო საქართველოს და „ქართულ ოცნებად“ შენილბული ეპოტინება საქართველოს. ეს არის ძალა, რომელიც ნელ-ნელა გვაპარებს ანტიევროპულ და პრორუსულ ბაცილას... ხელისუფლებას 4 წელს ვერ დავაცდით“, — მიმართა ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის წევრმა აკაკი ბობოხიძემ 19 აპრილის აქციის მონაწილეებს. ხელისუფლებას რომ ბოლომდე არ აცლიან, ეს იდეა ნაციონალების ერთ ფრთაში დიდი ხანია მწიფდება, საზოგადოებას კარგად ახსოვს არც თუ დიდი ხნის წინათ ვანო მერაბიშვილისგან წამოსული ეს იდეა.

„ეს მთავრობა ისეთია, რომ ჩვენ ვერ დაველოდებით 4 წელიწადს“, — განაცხადა მაშინ მერაბიშვილმა — **„ეს არ ნიშნავს, რომ მივვარდებით ხვალ და სახელმწიფო გადატრიალებას მოვაწყობთ და ჩამოვაგდებთ, მაგრამ ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ საშუალება... ხელისუფლებაში მოსვლა არ ნიშნავს მაინცდამაინც საპარლამენტო არჩევნების მოწყობას, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ინიციატივის რაღაც ფორმით ხელში აღება უნდა დაიწყოს. როგორც კი დავბრუნდებით, ყველაფერს აღვადგენთ დაახლოებით 6 თვეში. ვისაც კომპიუტერული თამაშები უთამაშია, იცის, რომ პირველად არის თამაში ძნელი, თორემ მეორედ უკვე ადვილად გადიხარ“,** — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

19 აპრილის აქციაზე, მართალია, მერაბიშვილი საკმაოდ ნირწამხდარი იყო და „დიადი“ ლოზუნგები არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, მისი იდეა აკაკი ბობოხიძემ გაიმეორა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია „კომპიუტერული თამაში“ როგორ აითვისეს და ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებაში როდის მოდიან.

მეტი სერიოზულობით თუ მივუდგებით ამ თემას, ერთია რას გეგმავენ და აპირებენ, მეორე — რა შეუძლიათ და რა გამოუვათ. მაშინ, როდესაც, მერაბიშვილისგან ეს იდეა წამოვიდა, საკონსტიტუციო ცვლილება მიღებული არ იყო და არსებობდა საფრთხე, სააკაშვილს პოლიტიკური კრიზისი გამოეწვია, ახლა რის იმედზე არ აცლიან ამ ხელისუფლებას ნაციონალები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საამისო რესურსი ნაცმოძრაობას არ გააჩნია. იმის მიუხედავად, რა სიმწვავის განცხადებებიც უნდა აკეთონ ნაციონალებმა, პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი არსენალი უკვე დაკარგეს.

ექსპერტი ნანა დევდარიანი, მიიჩნევს, რომ ნაციონალების განცხადებები არასერიოზულია.

„მაგათთვის რომ გეკითხა, „ქართული ოცნების“ მოშვებასაც არ აპირებდნენ ხელისუფლებაში“. დევდარიანის შეფასებით, მაგათი განცხადებები სხვას არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ ძალიან უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება, მაგრამ ამისი არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ექსპერტი დავით ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ კაკო ბობოხიძეს უნდა დაეზუსტებინა რას გულისხმობს, თუ იგულისხმება, რომ ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს და მთავრობას სწორ გზაზე დადგომაში დაეხმაროს, ეს გასაგები იქნებოდა.

ზარდიაშვილის არგუმენტი, რის გამოც ნაციონალებს მსგავსი განცხადებების კეთების ლეგიტიმაცია არ აქვთ, არის ის, რომ ამ გუნდმა დაუმსახურებლად მოიპოვა საპარლამენტო უმცირესობის ნიშა, რადგან არჩევნები ხელახლა რომ დაინიშნოს, საეჭვოა, ბარიერი გადალახონ.

„მორალური უფლებაც არ აქვთ, დღევანდელ მთავრობას რამე მოსთხოვონ. თვითონ იმდენად მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი, ვიდრე არ გასამართლდებიან, ვიდრე მათი მმართველობა არ შეფასდება, მანამდე არ მგონია, მათ ლაპარაკს რამე აზრი ჰქონდეს“, — აცხადებს ზარდიაშვილი.

„როცა ქვებს ისვრი სხვის ბოსტანში, ყოველთვის ცდილობ, კარგ პოზაში დადგე, მაგრამ ნაციონალებმა რაც უნდა ქნან, პასუხისმგებლობას თავს ვერ აარიდებენ. ყველამ კარგად ვიცით, რა აქვთ ჩადენილი და, დღეს იქნება თუ ხვალ, ეს აუცილებლად შეფასდება“, — აცხადებს ზარდიაშვილი და თვლის, რომ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც მოხდება მათი დანაშაულების გამოძიება და შეფასება.

ექსპერტი ვაჟა ბერიძე აცხადებს, რომ **პოლიტიკა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისმაგვარი დაწერსებულება არ არის, სადაც კონკურენტები ერთმანეთს ელოლიავებიან, ეს არის მძაფრი და დაუნდობელი ბრძოლა, ოღონდ არა წესების გარეშე და თუ „ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებს ამ მთავრობას არ დაამთავრებინოს მმართველობის 4-წლიანი ციკლი, ვადამდელი არჩევნების ორგანიზებას და მერე ამ არჩევნებში გამარჯვებას მოახერხებს, ამაში არაფერი არ არის უცნაური. „მაგრამ დღეს ასეთი რეალობა არ გვაქვს, ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ნაციონალთა მხარდაჭერა 10%-ს არ აღემატება“,** — აცხადებს ბერიძე.

ასეთ რიტორიკასა და მოწოდებებს „ნაცმოძრაობა“ იმით ამართლებს, რომ მისი თვალთახედვით დღევანდელ ხელისუფლებას ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავს.

„აბსურდი და დემაგოგიაა ამათი ევროპული არჩევანი, ცოცხებია ამათი ევროპული არჩევანი?! თვითონ სად მიჰყავდათ ქვეყანა, იმის იქით არაფერი აღარ არის. სიტყვით რასაც გინდა იმას იტყვი, მაგრამ რეალურად რა ღირებულების მატარებელი ხალხია ხომ უნდა ვიკითხოთ. მაგათი საქმე იყო, სწორედ, ანტიევროპული და ანტიადამიანური არჩევანი. რესურსი რომ საკმარისი ჰქონოდათ, დაახლოებით იმ ტიპის რეჟიმი იყო, როგორიც, ფაშისტური გერმანია. მთავრობას არ უნდა ვაცალოთო, ასეთი რამ მერაბიშვილმა ან ბობოხიძემ როგორ უნდა გაბედოს და თქვას? ეგებ, პატივი დაგვდონ და გაჩუმდნენ, რომ როგორმე დავივიწყოთ, დრო ყველაფრის მკურნალია და ეგებ მერე რამე ეშველოთ“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

თუ ექსპერტებს ვერწმუნებით, ნაციონალების შანსები დღითი დღე მცირდება და ეს ხდება, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, დღევანდელი ხელისუფლების შეცდომების ფონზე, რადგან შენიშვნები ახალი ხელისუფლების მიმართ უკვე დაგროვდა. რაკი შანსი არ აქვთ, როგორც ჩანს, მათი ამგვარი რიტორიკა მაინც ემსახურება კონკრეტულ მიზანს და ეს მხოლოდ და მხოლოდ მომხრეების გამხნევება და შენარჩუნებაა.

„პროვიკაციის მოწყობას დიდი ჭკუა არ სჭირდება, მაგრამ რამდენად გამოუვათ და რამდენად მიიღებენ მათთვის სასურველ შედეგს, ეს არის საკითხავი და რაც უფრო მეტ სისულელეს გააკეთებენ, მით უარესი მათთვის“, — აცხადებს ნანა დევდარიანი.

ზარდიაშვილის შეფასებით, განცხადებები არ უშველით. თუ პოლიტიკაში დარჩენა სურთ, იმ გუნდს უნდა გაემიჯნონ, დაგმონ რასაც აკეთებდნენ და საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადონ, მერე პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღონ, მაგრამ ესეც ძნელია, რადგან თვითონვე იყვნენ ამ დანაშაულების შემოქმედნი.

ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ მხარდამჭერებს რამე დამაიმედებელი თუ არ უთხრეს, ისე შემოეცლებათ ხალხი, როგორც არაერთხელ მომხდარა, როცა მმართველი პარტია ხელისუფლებიდან წასულა.

ვაჟა ბერიძის აზრით, დღეს აქციის მოწყობას რომ ბედავენ, ესეც „ქართული ოცნების“ სისუსტის წყალობითაა.

„როგორ უნდა გვესაუბრებოდეს ეროვნულ მოძრაობასა და დიად მომავალზე გიგი უგულავა, რომელსაც ერთი თბილსერვისის საქმე ეყოფა, სადაც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები და უმუშევრად დარჩენილი სახეები ჰყავს დასაქმებული. ჟაკ შირაკს არ აპატიეს რამდენიმე ადამიანის დასაქმება, ესენი კი ტელევიზიებზე გავლენასაც ფლობენ და სასამართლო იღლიაში ჰყავდათ ამოჩრილი, თბილისის ბიუჯეტსაც საკუთარ ნებაზე ხარჯავდნენ და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. როცა ამ ყველაფერზე პასუხს აგებენ, ამის შემდეგ თუ სერგო რატიანი ჩაუდგება ამ მოძრაობას სათავეში, ამ შემთხვევაში, შეიძლება მოიპოვონ ასეთი განცხადებების კეთების უფლება“.

ამ კონტექსტში ზარდიაშვილისთვის ასევე გაუგებარია, რატომ არ იქმნება ხელისუფლების მიერ დაანონსებული საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელსაც ხალხი დიდი მოლოდინით ელოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, საგამოძიებო კომისიის შექმნას უმრავლესობა არ ჩქარობს, სამაგიეროდ, თავს სხვადასხვა მიზეზით იმართლებენ.

„თინა ხიდაშელი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, თავს იმიტომ ვიკავებთ, რომ პროკურატურას ხელი არ შევუშალოთ გამოძიებაშიო. რეალური მიზეზი ის არის, რომ კოჰაბიტაციურად ცხოვრობენ, გარედან ეუბნებიან და ამიტომ“, — მიიჩნევს ზარდიაშვილი.

მისივე შეფასებით, ასეთი რამ კუკავას, ბურჯანაძეს, ან თუნდაც ნათელაშვილს რომ ეთქვა, სრულიად გასაგები იქნებოდა, მაგრამ როდესაც დამნაშავე რეჟიმი მთავრობას ეუბნება, არ გაცლითო, ეს საზოგადოებაში დიდ გაღიზიანებას იწვევს.

ვაჟა ბერიძეც ფიქრობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ თანაგუნდელთა და მხარდამჭერთა გამხნევებას ემსახურება ასეთი განცხადებები, რადგან მათთვის კარგად ცნობილი მარიკა ვერულაშვილი ნაციონალების რიგებს ტოვებს, ძმები ახალაიები განზე დგებიან და მალე იმ სამეულიდან, რასაც ახლა ეყრდნობა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიმე, შედარებით საღად მოაზროვნე ლიდერის გასვლაც არის მოსალოდნელი.

„მერაბიშვილ-უგულავა-ბაქრაძეს ვგულისხმობ. ეს იმ მასის დასამშვიდებლადაა, რომელიც დაპურებული ჰყავთ, ხელფასებსა და პრემიებს უხდიან. ასეთი ადამიანების რიცხვი მცირე არ არის და 50-100 ათასამდე მოქალაქეს მოიცავს, ვგულისხმობ უბნის აქტივისტებსა თუ მასწავლებლებს“, — ამბობს ბერიძე.

ექსპერტი ფიქრობს, რომ დღევანდელი ხელისუფლება მართალია, ბევრს აკეთებს ამ დაქცეული ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ შეძახილი და გამოფხიზლება მაინც სჭირდება.

რამდენად შეძლებენ ნაციონალები განწმენდას, ძნელი სათქმელია. ყველა ლოგიკით, ხელისუფლებაში მობრუნებას კი არა, როგორმე თავის გადარჩენას უნდა ცდილობდნენ, თუმცა, ისიც მართალია, რომ ხელისუფლებაში ყოფნა მათთვის ინდულგენციაა და ასე გამწარებულები ამიტომაც იბრძვიან. რაც შეეხება განწმენდასა და თავის გადარჩენას, ნაწილმა ეს პროცესი საკარაუდოდ, უკვე დაიწყო, თუმცა, კიდევ ერთი ახალი ამბავი გავრცელდა, დათა ახალაია, რომელიც საზღვართან ახლოს რიზეში „დარაჯობდა“ ვანოს აქციას, საქართველოში აღარ შემოვიდა, სხვა ქალაქიდან გავარკვევ ჩემს სიმართლესო. ვერც ვიდეომიმართვაზე დაუთანხმებიათ, — ირაკლი ოქრუაშვილი ხომ არ ვარ, კაცურად მოვაგვარებ ჩემს საქმესო.

„დღეს ვანოც დიდ გასაჭირშია და მიშაც, ისეთი რამ მოუწყო ვანოს ახალაიამ. საერთოდ თუ მივიდოდა მიტინგზე არც მეგონა, მაგრამ რაღა ექნა, რაკი მისი გამოცხადებული იყო, უნდა მისულიყო. საკაშვილი რომ მივიდა, რა მოიგო? ბაშიაჩუკისა არ იყოს, ახლა გინდა გაიტანეთ და გინდა შეიტანეთ ეს თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი“, — ამბობს ნანა დევდარიანი.

ლალი ზირაქიშვილი

დედამიწის ზურგზე

ცარნაევების საძმე: უფროსის უკანასკნელი ზარი და უმცროსის „პირველი სიტყვა“

სანამ ემზადება გადარჩენილი ჯოხარ ცარნაევის სასამართლო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეძებენ ნებისმიერ ახალ ამბებს ამ 19 წლის ეთნიკურ ჩეჩენზე, რომელიც დაცვის ქვეშ იმყოფება საავადმყოფოს სავარძელზე, და ნაწილ-ნაწილ აღადგენს ტრაგიკული მოვლენების დეტალებს, რაც 15 აპრილს მარათონზე მოხდა და რის შემდეგაც პოლიციელები ნადირობენ ეჭვმიტანილებზე.

* * *

გამომძიებლებმა აშშ-ში გამოარკვიეს, თუ რატომ განახორციელეს ძმებმა ცარნაევებმა ტერორისტული აქტი ბოსტონში

უშიშროების ფედერალურ ბიუროში თავს იმართლებენ: რუსეთის „დამიზნებით“ უფროს ცარნაევს ამოწმებდნენ 2011 წელს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რუსეთის სპეციალური სამსახურები არ იძლეოდნენ დამატებით ინფორმაციას. შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხედველობიდან გამორჩა ტამერლანის წასვლა დაღესტანში — დოკუმენტებში შეცდომების გამო. ახლა იძიებენ მის მონაწილეობასაც სამმაგ მკვლელობაში თერთმეტი სექტემბრის ტერაქტის ათი წლის თავზე.

* * *

ჩელიაბინსკის მეტეორიტის უმცროსი ძმა: „ცეცხლოვანმა ბურთმა“ არგენტინის თავზე ალაფრთოვანა და შეაშინა კიდეც მცხოვრებლები

არგენტინის ექვსი პროვინციის მცხოვრებლები გახდნენ მოწმენი ცაში მძლავრი აფეთქებისა იმ მომენტში, როდესაც მათ თავზე ბოლიდმა (დიდი, მეტად კაშკაშა მეტეორიტი) გადაიფრინა. ექსპერტების სიტყვებით, ცის სხეულის მოცულობა 20 სანტიმეტრს არ აჭარბებდა და იგი დაიშალა 65 კილომეტრის სიმაღლეზე. თვითმხილველებმა განიცადეს სხვადასხვაგვარი ემოციები: შიშიდან დაწყებული სილამაზის გრძნობით დამთავრებული.

* * *

ნიკარაგუაში დააკავეს აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ძებნილი დამნაშავე — ყოფილი მასწავლებელი

31 წლის ერიკ ტოტი დააპატიმრეს 2008 წელს მას შემდეგ, რაც მის ფოტოაპარატში აღმოაჩინეს კადრები საბავშვო პორნოგრაფიებით. დაპატიმრების შემდეგ მასწავლებელი მალე გაათავისუფლეს გირაოთი და იგი მიიმალა. ერიკ ტოტი აღმოჩნდა „ამერიკის შეერთებულ შტატებში ათი ყველაზე ძებნილი დამნაშავის სიაში“ შარშან მოკლული უსამა ბინ ლადენის ნაცვლად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მწერლის გახსენება

ოთარ ჭილაძის საღამო

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში (ხელმძღვანელი ლია ნადარეიშვილი) გაიმართა ოთარ ჭილაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.. ქალბატონმა ნელი გურგენიძემ ხაზი გაუსვა ოთარ ჭილაძის მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის.

მწერალმა და ლიტერატორმა **ინგა მილორავამ** ვრცლად მიმოიხილა ოთარ ჭილაძის შემოქმედება. მან აღნიშნა, რომ ჩვენს დღევანდელობას სწორედ ახლა სჭირდება ოთარ ჭილაძე, მისი სიბრძნითა და შინაგანი მშვენიერებით სავსე შემოქმედება, რომელიც ყოველ წაკითხვაზე ახალს გვეუბნება: „მისი წიგნები ცოცხალია, ანუ სიცოცხლე მათში არ სრულდება. ეს ის წიგნები და რომანებია, დროის ცვალებადობასთან ერთად, ქვეტექსტები რომ ამოდის ზემოთ და ხელახლა იწყებს ცხოვრებას. წიგნები კი არ იცვლებიან, არამედ ყოველი ახალი ეტაპის დადგომას ტექსტიდან მისტიური სიბრძნე და სიახლე ამოჰყვება“...

პოეტმა **ემზარ კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ოთარ ჭილაძეს სავსებით სამართლიანად მიეჩინა განსასვენებელი ვაჟა-ფშაველას გვერდით, გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მისი გზა მარადისობისკენ. „ოთარ ჭილაძის პოეზია მისივე სიტყვების გამართლება იყო, რომ პოეზია აიძულებს ადამიანს ამაღლდეს ყოველდღიური ყოფის წვრილმანებზე და საკუთარ სულში შეიგრძნოს სამყაროს უსასრულობა. მისი პოეტური სამყარო არავის არ ჰგავს, მომნუსხველი ექსპრესიით ხელშესახები და საგნობრივია“...

სიტყვით გამოვიდა არქიტექტორი **შოთა ბოსტანაშვილი**, ვინც ახლოს იცნობდა ოთარ ჭილაძეს და არაერთი წერილიც მიუძღვნა მის შემოქმედებას. განსაკუთრებით იკვლევს ჩრდილს ოთარ ჭილაძის პოეზიაში.

პოეტმა **თამარ შაიშმელაშვილმა** გაიხსენა დიდ მწერალთან შეხვედრა 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით და მასთან აღებული ინტერვიუ, რომელიც გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა.

იმ დღეს დარბაზში იდგა ოთარ ჭილაძის პოეზიის შუქი:

„ვერ დავარბიე ჩემში ველური, კანდაშაშრული მზით და მარილით, ვერ მივაჭედე სულს სახელური, რომ გამოაღოს ყველამ კარივით“... და ეს შუქი საღამოს შემდეგაც ჩვენი თანამდევი იყო.

თამარ კახელიშვილი

სურათზე: ლია ნადარეიშვილი, ინგა მილორავა, ნელი გურგენიძე საღამოზე.

ავტორის ფოტო

◎ მოპოვებითი მრეწველობა

ძვირფასი ლითონის ბუნდოვანი მომავალი

ოქროს, ძვირფას ლითონებში, ასე ვთქვათ, „საბაზისო“ ფუნქცია აკისრია, რაც ყველამ კარგად ვიცით, რადგან სწორედ მისი ტროას უნციის (31,1035 გრამი) ღირებულებით განისაზღვრება მსოფლიოს წამყვანი ვალუტების, უწინარესად, დოლარის მყიდველობითუნარიანობა, რაც, შემდგომ, უამრავი საქონლის — ნავთობის, ხორბლისა და ა.შ. — მსოფლიო ფასებსაც განსაზღვრავს.

ძვირფასი ლითონის მსოფლიო წამყვან ბირჟებზე ფასი აპრილის პირველ ნახევარში, შარშანდელი ივლისიდან მოყოლებული, ყველაზე მცირე ნიშნულზე დავიდა, ხოლო მისი საბადოების დამმუშავებლები და მწარმოებლები მოპოვების საგრძნობ გაძვირებას უჩივიან. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები აცხადებენ, რომ თუკი ძვირფასი ლითონის მომპოვებელი კომპანიების ხარჯი იმდენად გაიზრდება, რომ, უნციაზე გადაანგარიშებით, ფასი მის საბაზრო ღირებულებას მიუახლოვდება, მრავალმა მსხვილმა საბადომ (მათ შორის რუსეთში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, საქართველოში მადნეულში და სხვ.) შესაძლოა ან მოპოვების მოცულობა მკვეთრად შეამციროს, ანდა, სულაც შეწყვიტოს.

თვის დამდეგს უნცია ოქროს საბაზრო ფასი 1580 დოლარზე ქვევით ჩამოვიდა. შედეგად მსოფლიო ბაზარზე ყველაზე დიდმა მწარმოებლებმა, მათ შორის „ანგლოგოლდ აშანთიმ“, „გოლდ ფილდმა“, „ჰარმონი გოლდმა“, სხვებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ თავად ძვირფასი ლითონის მოპოვების ხარჯი, უნციაზე გადაანგარიშებით, 900 დოლარს გადასცდა, თანაც ბოლო დროს ოქროს შემცველ ქანებში მისმა პროცენტულმა ოდენობამ საკმაოდ მნიშვნელოვნად იკლო, რაც ყველაზე მდიდარი ფენების ფაქტობრივი გამომუშავებითაა გამოწვეული. ოქროს ნაკლები შემცველობის ქანებიდან ლითონის მიღება კი, ბუნებრივია, უფრო ძნელია, რაც, ცხადია, საწარმოო ხარჯს და, შესაბამისად, თვითღირებულებას ზრდის. დიდი ხანია ეს პრობლემა აქვთ მადნეულის პოლიმეტალური საბადოს დამმუშავებლებს, თუმცა კი ამის თაობაზე საჯაროდ ლაპარაკს წლების განმავლობაში ყველა ერიდება.

„SGB სექიურიტეს“ საექსპერტო ჯგუფის სპეციალისტების შეფასებით ყოველივე ამის შედეგად სამხრეთ აფრიკის უდიდეს საბადოებზე, სადაც წელიწადში ორ მილიონ უნციაზე მეტ ოქროს აწარმოებენ, ძვირფასი ლითონის გამოშვება, საკარაუდოდ, მნიშვნელოვნად შემცირდება. არადა, დაახლოებით 50 წლის წინათ ეს რეგიონი მსოფლიო ბაზრებს წელიწადში ათას ტონაზე მეტ ოქროს აწვდიდა, რაც ამ ლითონის მსოფლიო წარმოების სამ მეოთხედზე მეტს შეადგენდა. ამჟამად ეს ოდენობა წელიწადში მხოლოდ 200 ტონაა, რა მაჩვენებლითაც სამხრეთ აფრიკა უდიდეს მწარმოებლებს შორის მხოლოდ მეხუთე ადგილზეა. დღესდღეობით ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი დარგის უპირობო ლიდერია ჩინეთი, თუმცა კი, მსოფლიო ბაზარზე იგი მხოლოდ 10 პროცენტზე ოდნავ ნაკლები სეგმენტის მფლობელია, მთლიანად კი მსოფლიოში ამჟამად ყოველწლიურად 2820 ტონაზე მეტ ოქროს მოიპოვებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა რეგიონში ოქროს მოპოვების შემცირების მიზეზი, უწინარესად, ძვირფასი ლითონის მაღალი შემცველობის ქანების მეტი წილის გამომუშავება, ზოგადად საბადოთა სოლიდური ასაკი, ასევე მნიშვნელოვანი საწარმოო დანაკარგებია. ამდენად, ოქროს მწარმოებელთა მთელი ძალისხმევა სწორედ ამ უკანასკნელი ნეგატიური მიზეზის აღმოფხვრაზეა მიმართული, თანაც ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი საბადოების, მათ შორის, საკონტინენტო შელფზე ძიება, ზღვის წყლიდან მისი მიღების ქიმიური მეთოდების შემუშავება, თუმცა კი, გეოლოგიური ძებნა-ძიებითი სამუშაოებასა და ქიმიური მეთოდოლოგიების დახვეწას დიდძალი ფინანსური სახსრები სჭირდება, რაც ჯერ კიდევ დაუსრულებელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის, მით უმეტეს, მისი მეორე ტალღის საფრთხის პირობებში, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა.

რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანაში გეოლოგიური სამსახურის ფაქტობრივი მოსპობა და მის ლამის „ჩანასახოვანი“ მდგომარეობამდე დაყვანა, ახალი საბადოების ძიებას, ძველების გეოლოგიურ დეტალიზაციას, პლუს, ცხადია, უამრავი პრობლემის გადასაჭრელად საჭირო დიდძალი თავისუფალი ფინანსური სახსრების მწვავე დეფიციტი, ამ საკითხის უახლოეს ხანში დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივას მეტად ბუნდოვანს ხდის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გამოხმაურება

დიახ, ამ შემთხვევაში, რაიმე უნდა „გაწირულიყო“. მაგალითად, გამომცემლობების ინტერესები! რა ხანია ამ დღეს ელოდნენ გასაცოდავებული ოჯახები, რომელთაც, წარმოიდგინეთ, სექტემბრის დადგომა და შვილების სკოლაში გასტუმრებაზე ფიქრი ზარავდათ! 200-300 ლარამდე ადიოდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სხვა „წვრილმანების“ საფასური!

ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, „არც მწვადი დავწვათ და არც შამფურიო“

მოვიდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრად გიორგი მარგველაშვილი, მიდგა-მოდგა, აწონ-დაწონა, ყოველივე გაითვალისწინა და მთელი საქართველოს გასახარად (უპირველესად კი, მოსწავლეთა მშობლების), ერთ დღეს გამოაცხადა, **ამ სასწავლო წლიდან, სასკოლო სახელმძღვანელოები, უფასოდ დაურიგდებათ ბავშვებსო!**

კიდევ ვიმეორებ, რა სიხარულით შეხვდა, თითქმის ყველა, მინისტრის (სამინისტროს) გადაწყვეტილებას. „თითქმის“-მეთქი, რადგან ამ გადაწყვეტილებით გამომცემლობებს ეკვეცებოდათ ფრთები, ანუ მათი შემოსავალი ძველებურად „ბარაქიანი“ ვეღარ იქნებოდა. მარგველაშვილმა მათ შესთავაზა, თქვენ გამოეცით, ფულს სამინისტრო გადაგიხდით და წიგნებსაც ბავშვებს ჩვენ დავურიგებთო. აი, რა არ მოეწონათ და ამწუთასაც არ მოსწონთ გამომცემლებს — სასწავლო სახელმძღვანელოები ყოველწლიურად აღარ გამოვა — წინა კლასელის წიგნს უკანა კლასელს შეუნახავენ და გადასცემენ სკოლაში. „აი, ნახავთ, როგორ დაიშლება ფურცელ-ფურცელ ეს სახელმძღვანელოები ერთ წელიწადშიო“ — წინასწარმეტყველებს ქართული განათლების ერთ-ერთი „რეფორმატორი“ დიმიტრი შაშკინი. კარგით, ვნახოთ, ვნახოთ, პატივცემულო დიმიტრი! თუმცა, წინასწარმეტყველების გასამართლებლად, თქვენ, შეიძლება ისიც კი მოუწოდოთ ზოგიერთ მშობელს, მისი ბავშვი, რაც შეიძლება უდიერად მოექცეს ნაჩუქარ წიგნს!

მოკლედ, დამთავრდა ის დრო, როდესაც გამომცემლები ამღვრეულ წყალში იჭერდნენ თევზს და არ აინტერესებდათ, როგორ, რა გზით გადაიხდის ესა თუ ის ოჯახი გვარიან თანხას სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად (ღმერთმა ამრავლოთ, ზოგს 2-3 სასკოლო ასაკის ბავშვი ჰყავს და, თუ ბიჭი ხარ, ჩვენს პირობებში, მიდი და გაუძელი!).

კი, მაგრამ, ბატონებო (ზოგი ჩემი მეგობარიცაა), ძვირფასო გამომცემლებო, რაშია საქმე, სასკოლო სახელმძღვანელოების მეტს არაფერს ცემთ?! რომ იყოთ სპეციალიზებული (როგორც, კარგა ხნის წინათ, გამომცემლობა „განათლება“, ან „ცოდნა“) კი, ბატონო, ბევრი დაუჭერდა მხარს თქვენს პროტესტს, მაგრამ გამოეცით, შვილოსა, ნაირ-ნაირი ლიტერატურა (თითქმის, ყველა ხომ მაინც ამას აკეთებთ) და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

„ხვალ წიგნის დღეა და ვაწყობთ აქციას „წიგნის დღე — უწიგნოდო!“ განაცხადეთ გუშინ გამომცემლებმა ტელევიზიით, ბევრი წიგნის მაღაზია მხარს გვიჭერსო! კარგით რა, არ გამოვა ეგ საქმე და შეიძლება ხალხმა (მშობლებმა) ატეხონ ერთი ამბავი!

„ჭკვიანად იყვნენ, ძლივს მოვესწარით მთავრობის გონივრულ გადაწყვეტილებასო!“, აკვესებდა თვალებს გუშინ ერთი ქალბატონი, ეტყობა — მშობელი, რომელსაც ბევრი აჰყვა და ერთი ყაყანი იდგა ვერაზე.

ხალხო, ვის უწყობთ აქციას?! ვის წინააღმდეგ არის მიმართული თქვენი პროტესტი? ბავშვების, მშობლების, ასი ათასობით წიგნის მოყვარულის თუ ვის წინააღმდეგ, საინტერესოა. ყველაფერი ეს ეწირება თქვენს მერკანტულ ინტერესებს? მე არც გამიკვირდება, რომ რომელიმე მეცენატმა თავის თავზე აიღოს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა და გასაღება, სწორედ ისე და იმგვარი მეთოდებით, რომელიც არ დააზარალებს მოსახლეობას.

დაბოლოს: ამ რამდენიმე დღის წინათ „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა ჩვენი მწერლების განცხადება, ანუ თანადგომა გამომცემლობებისადმი. ასე მგონია, ეს, ვითომდა თანადგომა, თქვენმა მერკანტილურმა ინტერესებმა განაპირობეს, ბატონებო! ნუთუ, დაგავიწყდათ, მეგობრებო, როდესაც თქვენი მოსწავლეობის ხანა იდგა, რა იაფად ყიდულობდნენ თქვენი მშობლები სასწავლო სახელმძღვანელოებს?! ახლა რა გამოდის — „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი?“.

მაგრამ, ჩვენი ხალხის სასიხარულოდ, ბატონი გიორგი მარგველაშვილი გამოდგა „სხვისი ჭირის“ გამზიარებელი და ამიტომაცაა მის გვერდით მთელი საქართველო!

ვილენ მარდალეიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ იდეა

მეზობლები კი პასიურობენ

აზერბაიჯანის საფეხბურთო ფედერაციების ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ელნან მამედოვმა განაცხადა, რომ ქართული მხარის შეთავაზება ერთობლივი ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე ჯერ არც კი გაუანალიზებიათ.

„ჩვენთან საუბარში ქართველებმა განაცხადეს, რომ ასეთი იდეა აქვთ. ვუპასუხეთ, რომ დაფიქრება შეიძლება, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ე.ი. მათი წინადადება არც კი განგვიხილავს. მორიგ შეხვედრაზე ჩვენს მეგობრებთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, ერთობლივი ჩემპიონატის ჩატარების თემაზე ვიმსჯელებთ. თუმცა, ამ მიმართულებით არავითარი სერიოზული მუშაობა ჯერ არ მიმდინარეობს.

არაა გამორიცხული, იდეა საინტერესოდ და მიმზიდველად მოგვეჩვენოს. თუმცა, ამის უკან დიდი საორგანიზაციო სამუშაოები, დანახარჯები, ფიფას და უეფას პოზიცია დგას. შესაძლოა, იდეა, რომ აზერბაიჯანული და ქართული კლუბები ერთმანეთში ითამაშებენ, საინტერესო რომელიმე გულშემატკივრისთვის იყოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამ საქმის უკან მნიშვნელოვანი პრობლემებია“, — იუწყება მამედოვის სიტყვებს ინტერნეტგამოცემა extratime.az-b.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭადრაკი

პირველობა არავის დაუთმეს



რუმინის ბავშვთა მესამე სპორტულ თამაშებს თურქულმა კონიამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. ჩვენმა ნაკრებმა (გიორგი სიბაშვილი, ნიკა ღვამბერია, ნოე თუთისანი, ნინო ხომერიკი, მწვრთნელები — ალეკო არსენიშვილი და გოგი ხომერიკი) აზერბაიჯანს (4:0), თურქეთს (4:0), ირანს (3,5:0,5) და კონიას (4:0) აჯობა და მხოლოდ ერთი პაექრობა დათმო რუმინელებთან — 1:3, თუმცა ამის მიუხედავად, 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩნენ რუმინელები, რომლებიც მე-2 ადგილით დაკმაყოფილდნენ. 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ირანელებმა და აზერბაიჯანელებმა გაიყვეს.

ლაშა დიდია

◎ აღმოსავლური ორთაბრძოლები

ძიუდოს აკადემიამ კონტაქტურ კარატეში კავკასიის თასს უმასპინძლა

ტურნირში, რომელიც კიუკუშინ კაი კარატეს ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კომპანია „სალერისა“ და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ორგანიზებით ჩატარდა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა 10-დან 18 წლამდე.

კონტაქტური კარატეს მასობრიობის და საქართველოში სპორტის ამ სახეობის პოპულარობის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე თბილისში გაცილებით მასშტაბური საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება დაიგეგმა უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის.

შეჯიბრების მიმდინარეობას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე დაესწრო, მოგვიანებით კი ტურნირის მონაწილეები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმაც მოინახულა. მინისტრმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროს ანზორ ჩუბინიძესთან ერთად გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოვლენის წინ

სპორტის სასახლესთან უეფას ფუტსალის თასის პრეზენტაცია გაიმართა

26-28 აპრილს თბილისის სპორტის სასახლე უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალს მასპინძლობს. ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ტიტულის მოსაპოვებლად ქართული „იბერია-სტარი“, ესპანური „ბარსელონა“, მოსკოვის „დინამო“ და ყაზახეთის „ქაირათი“ იბრძოლებენ.

ტურნირის დაწყებამდე ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებას მართავს, რომელიც შეჯიბრების შესახებ გულშემატკივრებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება. 22 აპრილს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობი თამაშები მოეწყო და ბავშვებმა და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეებმა გრეხეტბოლი ითამაშეს.

იქვე გათამაშდა ტურნირზე დასასწრები ბილეთები. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, ფუტსალის ოთხთა ფინალის ელჩი არჩილ არველაძე, „იბერია-სტარის“ პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი და უეფას წარმომადგენლები დაესწრნენ.

აქვე გაუწყებთ, რომ ამ დღეებში თბილისის სტუმარი მრავალი საპატიო პერსონა იქნება, მათ შორის — მიშელ პლატინი და სანდრო როსელი.

გიორგი ზოთაძე

◎ კრივი

წინ ბაქო და კემეროვოა

ახალქალაქში 16 ქალაქისა და რაიონის 139 წარმომადგენელი მონაწილეობდა 1997-1998 წლებში დაბადებულ მოკრივეთა საქართველოს პირველობაში, რომელსაც ქვეყნის ნაკრებისთვის ის კანდიდატები უნდა შეერჩია, რომლებიც მაისში ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს, ივნისში კი კემეროვოს რინგზე ევროპის პირველობაში იასპარეზებენ. შეჯიბრებას, რომელსაც კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ დავით კვაჭაძესთან ერთად სპორტის, რეინტეგრაციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრები — ლევან ყიფიანი, პაატა ზაქარეიშვილი და სოზარ სუბარიც დაესწრნენ, 13 წონით კატეგორიაში უნდა გამოევლინა ჩემპიონები და პრიზიორები. ქომაგებისა და სპეციალისტების სიმპათიები დაიმსახურეს გიორგი ხარაბაძემ, რატი ტლაშაძემ, სახელოვანი ქართველი მოკრივის — გიორგი კანდელაკის ვაჟმა თარაშ კანდელაკმა, მოსწავლეთა 2012 წლის ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა გიორგი მანჯავიძემ, სამი წლის წინათ მშობლებთან ერთად ჩეჩნეთიდან თბილისში გადმოსახლებულმა ესკერხან მადიევმა და სხვებმა. ოთხდღიანი პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

46 კგ. 1. გიორგი ჩარგაზია (ფოთი), 2. ვაჟა წიქარაშვილი (თელავი), 3. გურამ ცხადაძე (ქუთაისი), ნოდარ დარბაიძე (ჭიათურა).

48 კგ. 1. გიორგი მანჯავიძე (ფოთი), 2. ხაჩატურ ჩნავანიანი (ახალქალაქი), 3. ონისე სოსელია (ქუთაისი), მლპერ მელტონიანი (ახალქალაქი).

50 კგ. 1. მიხეილ გაბინაშვილი (გორი), 2. დავით ჯეირანაშვილი (თელავი), 3. თორნიკე არბოლიშვილი (ერედვი), გაგიკ პოზოიანი (ახალქალაქი).

52 კგ. 1. ვალერი ბოტკოველი (ჭიათურა), 2. უჩა მაისურაძე (რუსთავი), 3. ბექა ლაზარაშვილი (გორი), გიორგი მარქარიანი (ბათუმი).

54 კგ. 1. ჯოტო თაგოშვილი (ერედვი), 2. ნიკა ხოშტარია (ფოთი), 3. ილია ქაჯაია (თბილისი), ხაჩიკ ჩნავანიანი (ახალქალაქი).

57 კგ. 1. ესკერხან მადიევი (თბილისი), 2. გოჩა გურული (ქუთაისი), 3. აკაკი კაკრიაშვილი (გარდაბანი), სოსო მღებრიშვილი (საგარეჯო).

60 კგ. 1 თარაშ კანდელაკი, 2. გიორგი დოლიაშვილი (ორივე — გორი), 3. თორნიკე ჯელაძე (ქუთაისი), ბონდო რაზმაძე (თბილისი).

63 კგ. 1. სტეფანე მხითარიანი (თბილისი), 2. ერეკლე აბაშიშვილი (ქარელი), 3. ქიზვარ შუშტატაშვილი (რუსთავი), ჯუმბერ გულორდავა (თბილისი).

66 კგ. 1. გიორგი ხარაბაძე (ქუთაისი), 2. ჟორა სეროპიანი (მარნეული), 3. რატი ფარქოსაძე (საჩხერე), ნოდარ აბულიძე (თელავი).

70 კგ. 1. ბექა ვახანია, 2. ილია პირველი (ორივე — თბილისი), 3. ლაშა კაბულაშვილი (გორი), ლადო კვანჭიანი (მესტია).

75 კგ. 1. რატი ტლაშაძე (გორი), 2. სამველ ხაჩატურიანი (ახალქალაქი), 3. ირაკლი მაჭარაშვილი (საჩხერე).

80 კგ. 1. იაგო გედენიძე (თბილისი), 2. ნიკოლოზ ბეგაძე (რუსთავი), 3. ბექა ადუაშვილი (გორი), გიორგი ხაჩიძე (ბათუმი).

+80 კგ. 1. გიორგი ზურაბიანი (გარდაბანი), 2. გიორგი კვანჭიანი (მესტია), 3. ვაჟა ხელაია (ფოთი), არჩილ ბეციაშვილი (გურჯაანი).

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნაირ ირიციანმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს მადლობა გადაუხადა ახალი რინგისა და თანადგომისთვის, თან ისიც დასძინა, რომ ახალქალაქი უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებებსაც უმასპინძლებს.

ლექსო ციცაძე

◎ ჩოგბურთი

რეიტინგი და ჩვენები

თბილისელმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ წარმატებით იასპარეზა ნამანგანის (უზბეკეთი) 50.000-იან ქალთა საერთაშორისო ტურნირზე — მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო უკრაინელ ნადია კიჩენოკთან და მეორე ადგილი დაიკავა, ამასთან 34 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, თუმცა, მას ეს ქულები მომდევნო კვირიდან დაერიცხება. ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის (WTA) განახლებული რეიტინგით იგი 99 ქულით 377-ეა. დანარჩენ ქართველთა მონაგარი კი ასეთია: 68 (68). ანა ტატიშვილი (907 ქულა), 255 (255) სოფიო შაფათავა (190), 407 (406). მაკა ჩახნაშვილი (87), 482 (480). სოფიო ქვაცაბაია (66), 518 (516). ეკატერინე გორგოძე (56), 815 (815). ნათია გეგია (18). ოქსანა კალაშნიკოვა ამჟამადაც უზბეკეთშია, კერძოდ, ანდიჟანში და 10.000-იან ტურნირში იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის.

ამერიკაში სავანას ჩელენჯერის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) კვალიფიკაციაში ნიკოლოზ ბასილაშვილიმა პირველი წრის შეხვედრა სლოვენიელ ლუკა გრეგორცს 6:4, 7:6 მოუგო და ძირითად ბადეში გასაღწევად ვენესუელელ რიკარდო როდრიგესთან გაარკვევს ურთიერთობას. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში თბილისელ სპორტსმენს 184 ქულით 252-ე ადგილი უკავია.

გივი გაგუა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ზნე-ჩვეულებანი

კამპანიას გაუმარჯოს!

დასავლეთში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდებზე ალკოჰოლს 21 წლის ასაკიდან ყიდიან. ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მსგავსი შემზღუდავი კანონის განხილვა დაიწყეს. „დაულვინებელ“ ყმაწვილ გოგო-ბიჭებზე ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვას ევროპის, ამერიკის, აზიის ქვეყნებშიც ებრძვიან.

საფრანგეთი: შეზარხოშდი – სახლიდან ფეხი არ გაადგა!

საფრანგეთში ლოთობას დიდი ხანია, ებრძვიან. 1915 წელს პირველად აკრძალეს აბსენტი, რადგან სწორედ ამ „მწვანე ფერიამ“ დააჩაჩანაკა ან, სულაც, სიგიჟემდე მიიყვანა ისეთი პერსონები, როგორებიც იყვნენ მხატვრები ვან გოგი, ტულუზ-ლოტრეკი, პოეტი პოლ ვერლენი... 1941 წლიდან კი შეზღუდულია ალკოჰოლის რეკლამა, 1954 წლიდან – რეგლამენტირებულია მისი საცალო გაყიდვა და შემოღებულია შეზღუდვა 16 წლამდე ყმაწვილებზე მისი გაყიდვა, 1973 წლიდან – აკრძალულია სამუშაო ადგილზე მაგარი ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.

დღესდღეობით აკრძალულია ალკოჰოლის გაყიდვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სტადიონების, სასწავლო დაწესებულებების, ციხეების, ყაზარმების, სასაფლაოების, საავადმყოფოების, პარკების, მანქანების სადგომებისა და საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებების გვერდით. 16-დან 18 წლამდე მოზარდებზე ღვინისა და ლუდის გაყიდვა კი ნებადართულია.

ესპანეთი: შეღავათი მსმელთათვის

2012 წლის ივლისში ესპანელებმა საჯარო ადგილებში ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა აკრძალეს, თუმცა კი ე.წ. ბოტეიონის პრობლემების გადაჭრა, როცა ახალგაზრდობა საღამოობით პარკებში იკრიბება და ლოთობს, ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ შეძლო.

ქვეყანაში ალკოჰოლით ვაჭრობა 22-დან 8.00 საათამდე აკრძალულია. ასევე არ შეიძლება 18 წლის ასაკამდე პირთათვის სასმელის მიყიდვა. მაღაზიის ან კაფეს მეპატრონე, ვინც არასრულწლოვანს ალკოჰოლიან სასმელს მიყიდის, შეიძლება 3-დან 15 ათას ევრომდე დაჯარიმდეს, ანდა, სულაც, სავაჭრო ობიექტი დაუხურონ.

საგულისხმო ფაქტია, რომ ქუჩაში დალევის მოყვარულებს საკუთარი ბრალეულობის აღიარების შემთხვევაში 40-პროცენტიანი შეღავათის იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

ტაილანდი: უალკოჰოლო დაბადების დღე

ალკოჰოლის მიყიდვა ტაილანდში აკრძალულია 20 წლის ასაკამდე პირთათვის. ქვეყნის ყველა მაღაზიაში სპირტიანი სასმელების (მათ შორის ასევე ლუდისაც) გაყიდვა 14.00-დან 17.00 საათამდე, ასევე 23.00 საათის შემდეგ აკრძალულია. ნაშუადღევის აკრძალვა იმასთანაა დაკავშირებული, რომ ამ დროს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეცადინეობა მთავრდება, რა დროსაც ახალგაზრდობა სავაჭრო ცენტრებსა და კაფე-ბარებს აკითხავს.

გარდა ამისა, ალკოჰოლის გაყიდვაზე აკრძალვა 24 საათის განმავლობაში მოქმედებს ტაილანდის მეფის რამა IX-ის დაბადების დღეს – 5 დეკემბერს, მისი მეუღლის, დედოფალ სიკირიტის დაბადების დღეს (12 აგვისტოს), აგრეთვე საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნების, ძირითადი ბუდისტური და ეროვნული დღესასწაულების დღეებში.

ამასთან, სპირტიანი სასმელების სმა საჯარო თავშეყრის ადგილებში, ქუჩაში, მოძრავ და გაჩერებულ ტრანსპორტში სერიოზული ჯარიმით (დაახლოებით 2,5 ათასი დოლარის ეკვივალენტით), ანდა 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. მთვრალი მძღოლი, ვინც კაცის სიცოცხლეს იმსხვერპლებს, სულაც შეიძლება სიკვდილით დასაჯონ.



იტალია: ვსვამდი, ვსვამ და კიდევაც დავლევ

შარშან შემოდგომით იტალიაში კანონი ამოქმედდა, რომლითაც 16-დან 18 წლამდე ასწიეს იმ პირთა ცენზი, ვისზეც ალკოჰოლის გაყიდვა აკრძალულია. ჯარიმა ასეთი ქმედებისთვის 250-დან 1000 ევრომდე ფარგლებში მერყეობს. ხელმეორე დანაშაულისთვის ჯარიმის ოდენობა ორმაგდება, დამნაშავე პირს კი 3 თვით ლიცენზია ჩამოერთმევა. თუმცა კი ადგილობრივ პოლიციელთა ლმობიერება, ისევე, როგორც ყველანაირი აკრძალვებისადმი იტალიელთა აგდებული დამოკიდებულება, საყოველთაოდაა ცნობილი: ნებისმიერ დისკოთეკაზე 14-15 წლის ნასვამ მოზარდებს ნახავთ. რომში, ჯორდანო ბრუნოს ძეგლთან ყოველდღიური ღამის ღრეობები კი, რა დროსაც ახალგაზრდები მუდამ დებოშებს აწყობენ, საყოველთაოდაა ცნობილი. ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საშუალოდ სპირტიან სასმელებს ახალგაზრდების თითქმის 20 პროცენტი იღებს, ხოლო „პირველ ჭიქას“, საშუალოდ, 12,2 წლის ასაკში სვამს (საშუალოევროპული მაჩვენებელი 14,6 წელია). საქმე აპენინის ნახევარკუნძულზე ისე მიდის, რომ ამ რეკორდს ახლო მომავალში არაფერი ემუქრება.

შვედეთი: მონოპოლია სპირტიან სასმელებზე

ტრადიციულ შვედურ ლოთობას, სადაც უწინ რუსეთზე მეტს სვამდნენ, ბოლო ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა ხანებში მოუღეს. 4,5 გრადუსზე მაგარი სასმელის ყიდვა ახლა მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში შეიძლება, სადაც ალკოჰოლს მხოლოდ 20 წლის ასაკზე ზევით პირებზე ყიდიან. ეს მაღაზიები სამუშაო დღეებში 10.00-დან 18 საათამდე, შაბათობით კი 4 საათის განმავლობაში ღიაა. ასეთი მაღაზიები ქვეყნის მასშტაბით ცოტაა, პატარა დასახლებულ პუნქტებში კი საერთოდაც არ არის.

საქმის ასეთი ვითარების ერთ-ერთი დადებითი მხარეა ოფიციალურ გაყიდვაში ფალსიფიცირებული ალკოჰოლის არარსებობა: ყველაფერი რაც მაღაზიების დახლებზეა გამოტანილი უმაღლესი ხარისხისაა.

აშშ: პარკში ჩადებული ბოთლი უკვე დარღვევაა!

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, 21 წლამდე ასაკის პირთათვის ალკოჰოლის მიყიდვა აკრძალულია. გამონაკლისს მხოლოდ ვირჯინიის კუნძულები და პუერტო-რიკო წარმოადგენენ (იქ აკრძალვა 18 წლამდე მოქმედებს). გარდა ამისა, არსებობს „მშრალი ოლქები“, სადაც სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა საერთოდ აკრძალულია (მაგალითად, ინდიელთა ზოგიერთი რეზერვაცია).

ამერიკაში აკრძალულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის სმა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბევრს ჰგონია, რომ თუ ბოთლს გაუმჭვირვალე პარკში ჩადებთ, აკრძალვა აღარ მოქმედებს. ჰოდა, ეს ასე არ არის: თუკი პოლიცია დაინტერესდა, რა შიგთავსია ბოთლში და ეს ალკოჰოლი აღმოჩნდება, ჯარიმას ნამდვილად ვერ გადაურჩებით.

ისრაელი: ესაა საშინელი რუსული ჩვევა!

2010 წელს ქნესეტმა კანონი მიიღო, რომლის თანახმად რესტორნებისა და ბარების გარდა, 23.00-დან 6.00 საათამდე ალკოჰოლის გაყიდვა აკრძალულია. ამ კანონმა პოლიციას დააკისრა არა მარტო იმ ალკოჰოლის ჩამორთმევა, რომელსაც ხალხი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სვამს, არამედ მისი მიწაზე დაქცევაც.

ჯერჯერობით ალკოჰოლს 18 წლის ასაკს გადაცილებულ პირებზე ჰყიდიან, მაგრამ ახლო მომავალში ამ ზღვარს 21 წლამდე აწევენ, რისი გაკეთებაც კანონმდებლებმა რამდენიმე ტრაგიკულად დასრულებული ჩხუბის შემდეგ გადაწყვიტეს.

სტატისტიკას თუ ვენდობით, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ისრაელში ყველაზე ნაკლებს სვამდნენ, თუმცა, ეს მაჩვენებელი არნახულად გაიზარდა მას შემდეგ, რაც იქ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან უამრავი ხალხი ჩავიდა. საქმე ზოგჯერ კურიოზებამდეც მიდის: ერთ-ერთმა ებრაელმა ჩინოსანმა უდიდესი გაკვირვება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ რუსი მინისტრი კვირაში ორ ჭიქა ღვინოს სვამდა!

თამარ გოგიაშვილი

◎ ქარვასლა

თვალის გასახარი, სულის გამამდიდრებელი

ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება – მხატვრული შემოქმედების ამ დარგთა ნამუშევართა გამოფენას დაუთმო სამი საგამოფენო დარბაზი თბილისის ქარვასლამ გაზაფხულის ამ დღეებში.

გამოფენა, რომელზეც მინაში, კერამიკაში, მინანქარში, ოქრომჭედლობაში, ჭედურობაში, თექაში, ხის მხატვრული დამუშავების ტექნიკასა და კიდევ მრავალ სხვა სახეობაში შესრულებული შესანიშნავი ნამუშევრებია წარმოდგენილი, საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისთავისაა მიძღვნილი. მისი ინიციატორები და მომწყობნი თავად მხატვართა კავშირი, ასევე საქართველოს ეროვნული და თბილისის ისტორიის მუზეუმები არიან.

ცნობილი მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით 1933 წელს დაფუძნებული საქართველოს მხატვართა კავშირის საიუბილეო გამოფენაზე 180 ქართველი შემოქმედის 400-ზე მეტი ნამუშევარია წარმოდგენილი. დიდებული სანახაობის ავტორთა შორის არიან ირმა კიკნაველიძე, დავით თოთიბაძე, გოჩა ფრუიძე, ოთარ ვეფხვაძე, თორნიკე გოგიჩაიშვილი, თამარ ფირცხალაური, დავით მონავარდისაშვილი, სხვები, რომელთა სახელების ჩამოთვლას ამ ჯერზე არ მივყვებით ელემენტარულად ადგილის სიმცირის გამო, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით, თუმცა კი მათი შემოქმედების ნაყოფით ყველა მნახველი დატკბება.

მხატვართა კავშირის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წლეულს კიდევ არაერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც მას ერთგვარად საფესტივალო იერს სძენს და ქვეყნის ყველა რეგიონში გაიმართება.

საიუბილეო ვერნისაჟის პარალელურად ქარვასლაში საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ მოწოდებულ პოლონელ რელიგიურ მოღვაწეთა ცხოვრების ამსახველი გამოფენაა გამართული.

ამდენად, ქარვასლის სტუმრებს, ვინც ამ დღეებში მის დარბაზებს მოინახულებს, ორი დიდი საგულისხმო, სანახაობრივად თვალის გამტაცველი, სულის მოსაფენი გამოფენის ხილვის შესაძლებლობა ექნება, რომელთა შემოქმედთათვის და ინიციატორთათვის თბილისელთა სახელით მადლობას მოვახსენებთ.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ორივე გამოფენა 28 აპრილამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ნელი, ზაურ ფხალაძეებს დისა და ცოლისდის

მანანა გიორგის ასულ არსენიშვილის

გარდაცვალების გამო.

ანიკო, ნათია, თემურ, თენგიზ კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ნელი, ზაურ ფხალაძეებს დისა და ცოლისდის

მანანა გიორგის ასულ არსენიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ჟუჟუნა კირთაძე, შვილი თამარი, სიძე გოჩა ცაგარელი, შვილიშვილები ნია, კახი, ძმები გიორგი, კორნელი, რძლები ნინო კინწურაშვილი, ნუნუ რაზმიაშვილი, ძმისწულები ეკა, ლაშა, რუსუდან, ირმა, გიორგი კინწურაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გურამ კალისტრატეს ძე კინწურაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24 IV, გამოსვენება 25 IV, 14 სთ. მისამართი: მუხიანის ნაკვეთები, ვარდისუბნის დასახლება, მე-10 ჩიხი (მეტრო „ახმეტელის თეატრიდან“ მიკროავტობუსი 104).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საააქციო საზოგადოება „გორგოტას“ სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, რომ 2013 წლის 25 მაისს, დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. 2ა, გაიმართება სს „გორგოტას“ აქციონერთა №24 საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2012 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა-დამტკიცება.

1.1. გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.

1.2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

1.3. 01.01.2013 წ. მდგომარეობით წარმოების განკარგულებაში დარჩენილი სარეზერვო ფონდის ნაშთის გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წინადადების დამტკიცება.

2. დამოუკიდებელი აუდიტის არჩევა.

3. სააქციო საზოგადოების ძირითადი საშუალებების განკარგვის საკითხის განხილვა.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2013 წლის 24 აპრილი.

აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლების გარკვევა შეუძლიათ სს „კავკასრეესტრში“, ან სააქციო საზოგადოების დირექციაში პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კრებამდე 10 დღის განმავლობაში.

პატივისცემით გენერალური დირექტორი
ნ. ლომიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

პროგრამა ჩვენში ყველაფერს ხედავს

შეიქმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც, როდესაც სოციალურ ქსელებში მომხმარებლის „ლაიქს“ უკეთებს ანალიზს, შეუძლია განსაზღვროს მისი ასაკი, ეროვნება, პოლიტიკური რწმენა და სექსუალური ორიენტაციაც კი.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ანალიზი გაუკეთა სოციალური ქსელების 58 ათასი ამერიკელი მომხმარებლის მონაცემებს. ისინი დათანხმდნენ წარედგინათ თავიანთი პროფილი და „ლაიკები“ ანალიზისთვის. მკვლევარებმა ეს „ლაიქები“ გაატარეს ალგორითმში, რომელიც სპეციალურად ამ პროექტისთვის დაამუშავეს, შემდეგ კი მიღებული მონაცემები შეადარეს იმას, რაც მათ იცოდნენ მომხმარებლების შესახებ.

ადევნებთ თვალყურს, რამდენ დროს ატარებს თქვენი ბავშვი კომპიუტერთან?
37 პროცენტი — დიახ, ჩვენ ამ დროს ვზღუდავთ,
28 პროცენტი — გვინდოდა, მაგრამ არ შეგვიძლია, ჩვენ ხომ მთელი დღე ვმუშაობთ,
24 პროცენტი — არა, ამას აზრი არა აქვს, კომპიუტერი გაკვეთილების მოსამზადებლადაცაა საჭირო,
11 პროცენტი — კომპიუტერი არ გვაქვს.
სულ გამოკითხვაში 681 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

პროგრამა 95 პროცენტამდე სიზუსტით იტყობინებოდა, რომელ რასას ეკუთვნოდნენ მომხმარებლები, 88 პროცენტამდე სიზუსტით — რომელი პარტიისადმი აქვთ მათ სიმპათიები, 82 პროცენტამდე სიზუსტით კი — რომელ რწმენას აღიარებენ.

მკვლევარებს სურდათ ეჩვენებინათ, თუ რა ბევრი რამის შესახებ შეუძლია გვიამბოს იმ ინფორმაციამ, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია.

„გადავახტეთ“ სტრესს

სახტუნელა — გახდომის საუკეთესო საშუალებაა, მიაჩნიათ იაპონელ მეცნიერებს. სტომები სახტუნელათი ყველაზე ეფექტიანია ყველა ფიზიკურ ვარჯიშთა შორის, რაც საშუალებას გვაძლევს ვებრძოლოთ შიმშილის გრძნობას. ეს აჩვენა ექსპერიმენტმა, რომლის დროსაც ახალგაზრდები ვარჯიშის ორ სახეობას ასრულებდნენ: სახტუნელათი და ველოტრენაჟორზე. სანამ ერთნი დახტოდნენ სახტუნელათი, მეორენი კი პედლებს ატრიალებდნენ ველოტრენაჟორებზე, მეცნიერები აკვირდებოდნენ მათს ჰორმონებს, რომლებიც შიმშილის გრძნობასთან არიან დაკავშირებული. აღმოჩნდა, რომ ორგანიზმი „მშიერ“ ჰორმონებს იმუშავებს გაცილებით ნაკლები ოდენობით, როდესაც ადამიანი სახტუნელათი დახტის, ვიდრე მაშინ, როდესაც ველოსიპედზე ზის.

მეცნიერები მათ, ვინც მიჩვეულია სტრესის კვებით დათრგუნვას, სთავაზობენ გამოსცადონ სხვა სტრატეგია, კერძოდ კი — „გადაახტნენ“ მას.

გონიერთა და მდიდართა არჩევანი

მშობიარეთა სოციალური მდგომარეობა და მატერიალური კეთილდღეობა პირდაპირ გავლენას ახდენს საკეისრო კვეთის ალბათობაზე, მაგრამ არა ისე, როგორც ეს არის მიჩნეული. რაც უფრო მდიდრები და განათლებულები არიან მომავალი დედები, მით ნაკლებად უწევთ მათ ოპერაციის გავლა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დიდ ბრიტანეთში იორკის უნივერსიტეტის მკვლევარები, რომლებმაც შეამოწმეს 18239 მშობიარობის ჩანაწერები 2000-დან 2002 წლამდე. ქალებს დაბალი სოციალური ფენებიდან გაცილებით უფრო ხშირად სჭირდებოდათ საკეისრო კვეთის ოპერაციები. ეტყობა, განათლებული ქალები უფრო უკეთესად ადევნებენ თვალყურს თავიანთ ჯანმრთელობას და მეტი იციან ბუნებრივი მშობიარობის სარგებლობის შესახებ.

ბრალი მარილს ედება?

სწრაფი კვების რესტორნების მუდმივ კლიენტებს აღენიშნებათ იმ უჯრედების „ზედმეტი წარმოება“, რომლებიც მონაწილეობენ ანთებით პროცესებსა და ავტოიმუნურ დაავადებებში, როდესაც იმუნიტეტი საკუთარი ორგანიზმის უჯრედებსა და ქსოვილებს უტევს, აღნიშნავენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის რამდენიმე სამეცნიერო ცენტრიდან.

მეცნიერები ამაში სუფრის მარილს სდებენ ბრალს. მკვლევარებმა იელის უნივერსიტეტიდან ცდები თაგვებზე მოაწყვეს. მარილის დამატებამ თაგვების მენიუში მღრღნელებში გამოიწვია გადიდება T H-17 ლიმფოციტების ოდენობისა — უჯრედებისა, რომლებიც აუტოიმუნურ დაავადებათა განვითარებაში მონაწილეობენ. იმ თაგვებს, რომლებიც ჭამდნენ მარილიან საკვებს, დროთა განმავლობაში უვითარდებოდათ ექსპერიმენტული აუტოიმუნური ენცეფალომიელიტი — ადამიანთა გაფანტული სკლეროზის ბიოლოგიური მოდელი.

კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ჯავრიშვილი:

— დღეს გაფანტული სკლეროზი მთელი მსოფლიოს მეცნიერთა დიდი ინტერესის საგანია. ახალი ჰიპოთეზის გაჩენა, რომ დაავადების მიზეზი შეიძლება მარილი იყოს, არ გვაოცებს. მღრღნელთა რაციონში მარილის სიჭარბემ, რომლებიც ბუნებაში პრაქტიკულად არ მოიხმარებენ მარილს, სინამდვილეში შეიძლება მიგვიყვანოს შეუქცევად ცვლილებებამდე მათი ტვინის უჯრედებში და იმუნურ უჯრედებში. მაგრამ ეს ცვლილებები მეორადია. მარილი ანგრევს ენდოთელიუმებს — სისხლძარღვების შინაგან ფენას, ამის გამო ტვინში შედის სისხლის ცილები, რომლებიც ტვინის ნივთიერებისთვის უცხოა. ამას თავის მხრივ ტვინის უჯრედების დანგრევასთან და მადემიელინიზებელ პროცესთან მივყავართ, რაც გაფანტული სკლეროზისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ თავად მარილის მოხმარება პირდაპირ ძნელად რომ იყოს დაკავშირებული ამ დაავადების წარმოქმნასთან.

კვირის ციფრები

ვეგეტარიანელებს რისკი, მიიღონ გულის დაავადებანი, 33 პროცენტით ნაკლები აქვთ, ვიდრე ხორცის მოყვარულებს, დაიანგარიშეს მეცნიერებმა დიდი ბრიტანეთიდან.

ინფორმაცია განსჯისთვის

რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნორმებით, მაგალითად, პირველკლასელებმა კომპიუტერთან არ უნდა დაჰყონ 10 წუთზე მეტი დღეში, მეორე-მეხუთე კლასელმა ბავშვებმა — 15 წუთზე მეტი, მეექვსე-მეშვიდე კლასელებმა — 20 წუთზე მეტი. სამინისტროს ნორმები უფროსკლასელებისთვის განსაზღვრავენ კომპიუტერთან მუშაობის არაუმეტეს 30 წუთისა მეცადინეობის პირველ საათში და 20 წუთისა — მეორეში. უსაფრთხო ნორმამ კომპიუტერული თამაშებისა, რომელიც ასე უყვართ თანამედროვე მოზარდებს, შეადგინა 10 წუთი დაბალი კლასის ბავშვებისთვის და 15 წუთი უფროსკლასელებისთვის.

არ იქნებოდა ურიგო, გაითვალისწინონ ეს ნორმები ჩვენმა მოსწავლეებმაც.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გაზეთებიდან

ხელისუფლებამ საბჭოთა ანაბრების მოცულობის დადგენა გადაწყვიტა

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, სპეციალური კომისია, რომელიც შიდა ვალზე მუშაობს, რევიზიას ახორციელებს, რათა ზუსტად იყოს დათვლილი ვალის მოცულობა. შემდეგი ამოცანა ვალის დაბრუნების მექანიზმზე მუშაობაა. ამასთანავე, სამინისტროში განმარტავენ, რომ არავის აქვს იმის ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში ან, მითუმეტეს, წელს მოახერხებს ამ ვალის გასტუმრებას. მათი სქემით, ამ პრობლემისადმი ინსტიტუციური მიდგომაა საჭირო.

„ალია“

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია, შესაძლოა, მისმა გარემოცვამ მოახდინოს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ მიმდინარე წლის 15 აპრილიდან 22 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ლიკვიდაცია, შესაძლოა, მისმა გარემოცვამ მოახდინოს. კითხვაზე — „სარწმუნოდ მიგაჩნიათ თუ არა ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას საკუთარი გარმოცვა მოახდენს“, გამოკითხვის მონაწილეთა 47,1 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 35,3 პროცენტმა კი საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსირა. 17,6 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

„ახალი თაობა“

პროკურატურამ დათა ახალაიას ბრალი, შესაძლოა, მოუხსნას

ყოფილი მაღალჩინოსანი დათა ახალაია პასუხისმგებლობისგან, შესაძლოა, ნაწილობრივ ან სრულიად განთავისუფლდეს, ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, თუმცა, განმარტა, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის გამოძიებასთან ითანამშრომლებს. უფლებადამცველები კი ფიქრობენ, რომ ხელისუფლებასა და ახალაიას შორის გარიგება უკვე დაიდო.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

— **შენ** ვინა ხარ?
— ქურდი ვარ.
— ასეთი პატარა რად ხარ?
— ჯიბის ქურდი ვარ.

* * *

ოციანი წლების მიწურული. ჩეკაში ტელეფონი რეკავს:
— პეტრეს ბევრი ფული აქვს!
— გამოვდივართ.
სამოცდაათიანი წლების მიწურული. სუკში ტელეფონი რეკავს:
— პავლეს ბევრი ფული აქვს!
— მერე რა!
— მან ის სახელმწიფოს მოპარა!
— გამოვდივართ.
ოთხმოცდაათიანი წლების მიწურული: შემოსავლების სამსახურში ტელეფონი რეკავს:
— ივანეს ბევრი ფული აქვს!

— მერე რა?
— მან ის სახელმწიფოს მოპარა!
— მერე რა???
— ის მათგან გადასახადს არ იხდის!
— გამოვდივართ...

* * *

ახალგაზრდა ცოლი დედამისთან მივიდა
— შენთან გადმოვდივარ საცხოვრებლადო.
— გასაგებია! მუდამ გეუბნებოდი, რომ შენი ქმარი ვიგინდარა და ნაძირალაა! გიღალატა?
— არა, დედა. ჩემს მეგობართან წამასწრო საწოლში.
— გასაგებია. როგორც ჩანს, იგი იმაზე საზიზღარი ვინმე ყოფილა, ვიდრე მეგონა.

* * *

— **ამბობენ**, რომ დაუქორწინებელი მამაკაცები უკეთ ერკვევიან ქალებში.
— რა თქმა უნდა. ამიტომაც არ ქორწინდებიან ისინი.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com